საქპატენტი
SAKPATENTI

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA

# წლიური ანგარიში
# ANNUAL REPORT



2013

# წლიური ანგარიში
# ANNUAL REPORT
# 2013

თბილისი 2013 TBILISI

© საქპატენტი, 2014

# შინაარსი
# TABLE OF CONTENTS


| | | |
|---|---|---|
| წინასიტყვაობა | 4 | PREFACE |
| ორგანიზაციის შესახებ | 8 | ABOUT ORGANIZATION |
| გამოგონებები | 12 | INVENTIONS |
| სასარგებლო მოდელები | 18 | UTILITY MODELS |
| დიზაინი | 23 | DESIGN |
| მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვა | 30 | PROTECTION OF NEW VARIETIES OF PLANTS AND BREEDS OF ANIMALS |
| ინოვაციები და ტექნოლოგიების გადაცემა | 35 | INNOVATION AND TECHNOLOGY TRANSFER |
| სასაქონლო ნიშნები | 40 | TRADEMARKS |
| საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებები | 52 | APPELLATIONS OF ORIGIN OF GOODS |
| საავტორო უფლებები | 57 | COPYRIGHT |
| დავები | 59 | DISPUTES |
| საერთაშორისო ურთიერთობები | 63 | INTERNATIONAL RELATIONS |
| მრავალმხრივი ხელშეკრულებები | 79 | MULTILATERAL AGREEMENTS |
| ორმხრივი ხელშეკრულებები | 81 | BILATERAL AGREEMENTS |
| მემორანდუმები ორგანიზაციებთან | 84 | MEMORANDUMS WITH ORGANIZATIONS |
| საინფორმაციო საქმიანობა | 85 | INFORMATION ACTIVITY |
| ვებგვერდი | 85 | WEBPAGE |
| საგამომცემლო საქმიანობა | 87 | PUBLISHING ACTIVITY |
| ბიბლიოთეკა | 92 | LIBRARY |
| ინფორმაციული ტექნოლოგიები | 95 | INFORMATION ACTIVITY |
| ღონისძიებები და საზოგადოებასთან ურთიერთობა | 99 | EVENTS & PUBLIC RELATIONS |
| საფინანსო ანგარიში | 106 | FINANCIAL REPORT |
| სტატისტიკური მონაცემები | 108 | STATISTICAL DATA |

# წინასიტყვაობა
# PREFACE



ძვირფასო მკითხველო,

ტრადიციულად წარმოგიდგენთ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" 2013 წლის საქმიანობის წლიურ ანგარიშს. ანგარიშში ასახული ინფორმაცია ინტელექტუალური საკუთრების სფეროთი დაინტერესებულ პირებს საშუალებას მისცემს გაეცნონ გასულ წელს უწყებაში მიმდინარე სამუშაოებს, ინტელექტუალური საკუთრების თითოეულ ობიექტზე საქპატენტის მიერ მიღებული განაცხადებისა და გაცემული დამცავი დოკუმენტების რაოდენობას, სააპელაციო საჩივრების განხილვის შედეგებს, ასევე, ბოლო ხუთი წლის სტატისტიკურ მაჩვენებლებსა და სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციას.

უფლებამოსილების ფარგლებში, საქპატენტი 2013 წელსაც აქტიურად ახორციელებდა ინტელექტუალური საკუთრების

Dear reader,

Traditionally, we would like to introduce the annual report on the activities of the National Intellectual Property Center of Georgia Sakpatenti for the year 2013. The information reflected in the report will enable all interested parties to get familiar with the activities of the Office over the last year, number of applications received by Sakpatenti and titles of protection granted for each intellectual property subject-matter, results of appeal hearings, as well as statistical data on the last five years and other important information.

Within the powers granted by law, Sakpatenti in 2013 was fully engaged in the activities aimed at the acquisition,

ობიექტებზე უფლებების წარმოშობის, დაცვისა და განხორციელებისკენ მიმართული საქმიანობას. შედეგად, საქპატენტის ძირითადი საქმიანობიდან შემოსულმა თანხებმა შეადგინა 6865,4 ათასი ლარი, რაც 2012 წელთან შედარებით 27,8%-ით მეტია. გარდა ამისა, წელი გამოირჩეოდა მრავალი ახალი პროექტითა და ინიციატივით.

საქპატენტის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება საქართველოს ინტერესების დაცვის მიზნით. ამიტომ, საქპატენტი აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირთან ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) პროცესითა და „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებით" (DCFTA) გათვალისწინებულ ურთიერთობებში და ENP-ის სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

განვითარების შემდგომ ეტაპზე გადავიდა საქპატენტის თანამშრომლობა ისმო-სთან, ევროპის საპატენტო უწყებასთან და უცხოეთის საპატენტო უწყებებთან. საქპატენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ისმო-ს მიერ ორგანიზებულ არაერთ ტრეინინგში, სხდომასა თუ საკომიტეტო შეხვედრაში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქართული კულტურის საღამო, რომელიც გაიმართა 23 სექტემბრიდან 3 ოქტომბრის ჩათვლით ჟენევაში გამართულ ისმო-ს წევრი სახელმწიფოების 51-ე გენერალური ასამბლეის ფარგლებში.

აგრეთვე, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა უცხოეთის საპატენტო უწყებებთან თანამშრომლობის გაღრმავების კუთხითაც, სხვადასხვა ქვეყანასთან ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების მიზნით, წლის მანძილზე მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში არსებული ხელშეკრულებების განახლებისა და ახალი ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით, რაც გამოიხატა ახალი მემორანდუმების გაფორმებაში. ხელი მოეწერა

protection and enforcement of rights on intellectual property subject-matters. As a result, the income generated from the organization's core activities amounted to 6 865 400 GEL, which is 27.8% more than in 2012. Along with this, the reporting year was marked by a number of new projects and initiatives.

One of the main objectives of Sakpatenti is deepening international cooperation in the intellectual property field, in line with the interests of Georgia. Therefore, Sakpatenti cooperates actively with the EU in the areas stipulated by the European Neighborhood Policy (ENP) and the Deep and Comprehensive Free Trade Agreement (DCFTA), and in accordance with the ENP action plan.

Cooperation of Sakpatenti with the World intellectual Property Organization (WIPO), European Patent Office (EPO) and foreign patent offices moved to the next stage of development. Sakpatenti employees participated in a number of trainings, sessions and committee meetings organized by WIPO. Especially noteworthy is the Georgian cultural event held alongside the 51st Series of Meetings of the Assemblies of the Member States of WIPO in Geneva.

Significant steps were also taken for strengthening cooperation with patent offices of foreign countries. During the year 2013 negotiations on renewal of agreements and conclusion of new agreements in the IP field continued. As a result, memorandums of understanding were signed with the

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ავსტრიის და მოლდოვას საპატენტო უწყებებთან.

2013 წელსაც საქპატენტის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს კადრების მომზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება წარმოადგენდა. საქპატენტის სპეციალისტები აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო კონფერენციებისა და სემინარების მუშაობაში როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გადიან ტრეინინგებს. აღსანიშნავია ისმოს მსოფლიო აკადემიის დისტანციური სწავლების თემატური კურსებიც, რომლებიც საქპატენტის თანამშრომელთა უმრავლესობამ წარმატებით გაიარა.

საგულისხმოა, ასევე, რომ 2013 წელს საქპატენტმა უკვე მესამედ, საჯაროდ ჩაატარა საქართველოს პატენტრწმუნებულთა საატესტაციო გამოცდა.

გასულ წელს საქპატენტის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება იყო სპეციალურად განმცხადებლებისათვის, საქპატენტის ბაზებზე ხელმისაწვდომობისა და განაცხადებზე საქმისწარმოების ეტაპების კონტროლის მიზნით, შექმნილი განაცხადების წარდგენის ახალი ელექტრონული სისტემის შექმნა, რომელიც ეტაპობრივად გაეშვება და მომავალ წელს მოიცავს ყველა ობიექტს.

საქპატენტი კვლავაც დიდ ყურადღებას უთმობს დარგში არსებული სიახლეების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას. 2013 წელსაც მიმდინარე სიახლეებისა და მოვლენების შესახებ საზოგადოების დროულად ინფორმირების მიზნით, სისტემატურ რეჟიმში ხდებოდა ინფორმაციის განახლება საქპატენტის ოფიციალურ ვებგვერდსა და ფეისბუქის გვერდზე. ფართო საზოგადოებაში ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ცოდნის გავრცელებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, საქპატენტი სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფისთვის

patent offices of the People's Republic of China, Austria and Moldova.

Furthermore, in 2013 one of the main priorities for Sakpatenti was training of its personnel and enhancing their qualification. Sakpatenti specialists actively participate in international conferences and seminars held in Georgia and abroad, and attend training courses to acquire more knowledge in the area. The WIPO Academy distance learning courses were passed successfully by a great majority of Sakpatenti employees.

It is noteworthy that in 2013 for the third time Sakpatenti held official certification exam for patent attorneys.

In 2013, creation of a new automated system for electronic filing of applications constituted a priority for Sakpatenti. The e-filing system will be launched step-by-step and next year it will cover all IP subject-matters. The user-friendly system is specifically designed for applicants to access and monitor various stages of their online applications filed with Sakpatenti.

Sakpatenti pays great attention to the dissemination of information on current news in the IP field. In 2013 as well, in order to timely inform public on the current news and events, information was updated systematically on the official website of Sakpatenti and on its Facebook page. For the purposes of dissemination of knowledge and raising awareness in the field of intellectual property, Sakpatenti offered seminars and trainings for various

მრეწველობის, მეცნიერების, მასმედიისა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისთვის ატარებდა სემინარებსა და ტრეინინგებს. გამოსცემდა საინფორმაციო ბუკლეტებს ღონისძიებებზე გასავრცელებლად. ამავე მიზნით გამოიცემა პერიოდული ჟურნალი „IP საქართველო“.

ვიმედოვნებთ, რომ 2014 წელი კიდევ უფრო წარმატებული იქნება ქვეყანაში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის თვალსაზრისით.

target groups – representatives of industry, science, mass media and law enforcement. The Office published information booklets for dissemination during various events. The periodical magazine *IP Georgia* was published for the same purposes.

We hope that the year 2014 will be even more successful in terms of protection of intellectual property in the country.

ირაკლი ღვალაძე
საქპატენტის თავმჯდომარე

IRAKLI GHVALADZE
SAKPATENTI CHAIRMAN



# ორგანიზაციის შესახებ

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი" ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მოქმედი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც ჩამოყალიბდა 1992 წელს. მას შემდეგ უწყება მიზანმიმართულად ვითარდება და დღეს არის თანამედროვე ევროპული სტანდარტებით მომუშავე ეროვნული საპატენტო უწყება. საქპატენტს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე.

საქპატენტი განსაზღვრავს და უშუალოდ ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას ინტელექტუალური საკუთრების სფეროში და წარმოადგენს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციასა (WIPO) და ინტელექტუალური საკუთრების სფეროსთან დაკავშირებულ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში.

საქპატენტის ძირითადი ფუნქციაა განაცხადების ექსპერტიზა და საქართველოს სახელმწიფოს სახელით შესაბამისი დამცავი დოკუმენტების გაცემა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე (გამოგონებები, სასარგებლო მოდელები, დიზაინები, მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშები, სასაქონლო ნიშნები, ადგილწარმოშობის დასახელებები და გეოგრაფიული აღნიშვნები). გარდა ამისა, საქპატენტი ახორციელებს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დეპონირებას და გასცემს დეპონირების დამადასტურებელ მოწმობებს.

საქპატენტში ფუნქციონირებს სააპელაციო პალატა, რომელსაც ხელმძღვანელობს საქპატენტის თავმჯდომარე. პალატა კოლეგიური წესით განიხილავს დავებს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე საქპატენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და დაცვის კრიტერიუმების შესახებ.

საქპატენტში ფუნქციონირებს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი, რომელიც საინოვაციო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, უზრუნველყოფს ქართველი გამომგონებლებისა და ბიზნესის დაკავშირებასა და საქართველოში დაპატენტებული გამოგონებების კომერციალიზაციას.

საქპატენტის ერთ-ერთი მიმართულებაა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საერ-

# ABOUT ORGANIZATION

The National Intellectual Property Centre Sakpatenti is a legal entity of public law operating independently in the area of intellectual property, set up in 1992. Since then it was developed purposefully, and today it is a national office working with modern European standards. The head of Sakpatenti is its Chairman.

Sakpatenti defines and carries out intellectual property policy of the state and represents Georgia in the World Intellectual Property Organization (WIPO) and other international organizations active in intellectual property matters.

The core function of Sakpatenti is examination of applications filed for protection of intellectual property objects: inventions, utility models, designs, new varieties of plants and breeds of animals, trademarks, appellations of origin and geographical indications, and granting respective titles of protection on behalf of the state. Along with this, scientific, literary and artistic works are also deposited with Sakpatenti and certificates of deposition are granted.

The Chamber of Appeals of Sakpatenti, headed by Chairman of Sakpatenti, hears disputes in connection with the decisions of Sakpatenti on intellectual property objects, as well as criteria of their protection.

The Technology Transfer Center is functioning at Sakpatenti, which for the purpose of promotion of innovation, provides linkage of Georgian inventors and business representatives and commercialization of inventions patented in Georgia.

One of the directions of Sakpatenti is international activity. The office co-

თაშორისო აქტივობა. საქპატენტი მჭიდროდ თანამშრომლობს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციასთან (ისმო), ევროპის საპატენტო უწყებასთან და უცხოეთის საპატენტო უწყებებთან. საქპატენტის სპეციალისტები აქტიურ მონაწილეობას იღებენ საერთაშორისო კონფერენციებისა და სემინარების მუშაობაში.

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, საქპატენტი ახდენს საპატენტო ინფორმაციის მონაცემთა საძიებო ბაზების ფორმირებასა და ინფორმაციის გავრცელებას.

საქპატენტის ბაზაზე ფუნქციონირებს ინტელექტუალური საკუთრების ბიბლიოთეკა, რომელშიც დაცულია ადგილობრივი და უცხოური საპატენტო ინფორმაციის უნიკალური და მუდმივად განახლებადი ფონდი.

საქპატენტის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ინტელექტუალური საკუთრების სფეროს პოპულარიზაცია და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, რისთვისაც ეწევა საგამომცემლო საქმიანობას, ატარებს სემინარებს, ტრეინინგებსა და სხვა ღონისძიებებს.

საპატენტო ინფორმაციის გავრცელებას ემსახურება, ასევე, საქპატენტის სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილება თანამედროვე პოლიგრაფიული დანადგარებით აღჭურვილი სტამბის მეშვეობით. საქპატენტი თვეში ორჯერ გამოსცემს „სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენს" და დარგობრივ ლიტერატურას, ბროშურებსა და ბუკლეტებს. ყოველკვარტალურად კი გამოიცემა შემეცნებითი ხასიათის ჟურნალი „IP საქართველო".

საქპატენტში არსებობს ინტელექტუალური საკუთრების გამოფენა და ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებების საილუსტრაციო ღვინის მარანი.

operates closely with the World Intellectual Property Organization, European Patent Office (EPO) and foreign patent offices. Sakpatenti specialists participate actively in the work of international conferences and seminars.

By means of information technologies, Sakpatenti forms search databases and disseminates knowledge.

The intellectual property library, functioning at Sakpatenti, houses a unique collection of local and foreign patent information, renewed on a regular basis.

One of the priority directions of Sakpatenti activities is popularization of the intellectual property field and raising public awareness, for the purpose of which it is engaged in editorial activities, organizes seminars, trainings and other events.

The Editorial-Publishing Division of Sakpatenti by means of the printing-office equipped with modern polygraphic facilities also serves the purpose of dissemination of patent information. Sakpatenti publishes the Official Bulletin of Industrial Property twice a month, as well as specialized literature, brochures and booklets. The periodical magazine of cognitive character *IP Georgia* is also published quarterly.

An exhibition of intellectual property and a wine cellar illustrating Georgian wines of appellations of origin are set up at Sakpatenti.





საქპატენტის ახალი ოფისი მცხეთაში
New office of Sakpatenti in Mtskheta

# საქპატენტის სტრუქტურა



# STRUCTURE OF SAKPATENTI



# გამოგონებები

# INVENTIONS

საქართველოში გამოგონებაზე განსაკუთრებული უფლების მოპოვება შესაძლებელია სამი გზით, კერძოდ:

- განაცხადის წარდგენით უშუალოდ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტში";
- უცხოეთში მიღებული პატენტის საფუძველზე, განაცხადის წარდგენით საქპატენტში, რაც ითვალისწინებს ე.წ. „შემოტანილი პატენტის" გაცემას უცხოეთის პატენტის მფლობელზე;
- საერთაშორისო პროცედურის მეშვეობით, რაც გულისხმობს საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების (PCT) შესაბამისად, საერთაშორისო განაცხადის წარდგენას.

გამოგონებაზე ეროვნული პროცედურით განაცხადების მიღება საქპატენტმა დაიწყო დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბების შემდეგ, 1992 წლის პირველი მაისიდან. 2014 წლის პირველი იანვრისათვის საქპატენტში გამოგონებაზე შემოსულია 10257 განაცხადი, აქედან დარეგისტრირდა და გაიცა 6027 პატენტი (დაახლოებით 59%), ამათგან 3127 – ეროვნულ და 2900 უცხოურ გამოგონებაზე.

საქპატენტის არსებობის მანძილზე ყველაზე მეტი – 5086 განაცხადი შემოსულია ეროვნული პროცედურით, რაც საქპატენტში შემოტანილი განაცხადების საერთო რაოდენობის (10257 განაცხადი) თითქმის ნახევარს შეადგენს.

2013 წელს, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო პროცედურით, საქპატენტში განსახილველად შემოვიდა 333 განაცხადი გამოგონებაზე. აქედან,

In Georgia the exclusive right in an invention may be acquired in three ways, namely:

- By filing an application directly with the National Intellectual Property Center "Sakpatenti";
- On the basis of the patent obtained abroad, by filing an application directly with Sakpatenti, which implies granting the so-called "importation patent" to a foreign patent holder;
- Under the international procedure, which implies filing an international application in accordance with the Patent Cooperation Treaty (PCT).

Sakpatenti began receiving applications for inventions under the national procedure after its formation as an independent unit in May 1, 1992. By January 1, 2014, 10257 applications were filed for inventions, of these 6027 ones (about 59%) were registered and patents were granted, among these, patents were granted for 3127 national and 2900 foreign inventions.

In the period of existence of Sakpatenti, the greatest quantity of applications, namely – 5086 applications were filed under the national procedure, which is almost the half of the total quantity of the applications filed with Sakpatenti (10257 applications).

In 2013, 333 applications for inventions were filed for consideration with Sakpatenti both under the national and international procedures. Of these, 199 applications

საერთაშორისო პროცედურით შემოვიდა 199 განაცხადი, ეროვნული პროცედურით კი – 134 განაცხადი, საიდანაც ადგილობრივ განმცხადებლებს ეკუთვნით 114 განაცხადი.

were filed under the international procedure, and 134 applications – under the national procedure, of which 114 applications were filed by local applicants.

## 2009-2013 წლებში შემოტანილი განაცხადების რაოდენობა

## NUMBER OF APPLICATIONS FILED IN 2009-2013

| | | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეროვნული პროცედურით | | 288 | 200 | 153 | 153 | 134 | NATIONAL PROCEDURE | |
| მათ შორის | ადგილობრივი | 256 | 183 | 138 | 137 | 114 | LOCAL | AMONG THEM |
| | უცხოური | 32 | 17 | 15 | 16 | 20 | FOREIGN | |
| საერთაშორისო პროცედურით | | 186 | 162 | 245 | 219 | 199 | INTERNATIONAL PROCEDURE | |
| სულ | | 474 | 362 | 398 | 372 | 333 | TOTAL | |




## 2009-2013 წლებში ადგილობრივი განმცხადებლების მიერ გამოგონებაზე შემოტანილი განაცხადების რაოდენობა

## NUMBER OF APPLICATIONS FOR INVENTIONS FILED BY LOCAL APPLICANTS IN 2009-2013

| | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურიდიული პირი | 7 | 6 | 4 | 7 | 7 | LEGAL ENTITY |
| ფიზიკური პირი | 249 | 177 | 134 | 130 | 107 | NATURAL PERSON |
| სულ | 256 | 183 | 138 | 137 | 114 | TOTAL |



## 2009-2013 წლებში შემოტანილი განაცხადების რაოდენობის განაწილება ქვეყნების მიხედვით

### BREAKDOWN OF NUMBER OF APPLICATIONS FILED IN 2009-2013 ACCORDING TO COUNTRIES

| | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 256 | 183 | 138 | 137 | 114 | GE (GEORGIA) |
| აშშ | 72 | 45 | 65 | 69 | 64 | US (USA) |
| იაპონია | - | 20 | 16 | 13 | 16 | JP (JAPAN) |
| იტალია | 11 | 19 | 18 | 16 | 12 | IT (ITALY) |
| საფრანგეთი | 25 | 17 | 26 | 26 | 20 | FR (FRANCE) |
| დიდი ბრიტანეთი | 8 | 10 | 8 | 4 | 10 | GB (GREAT BRITAIN) |
| გერმანია | 12 | 2 | 25 | 29 | 29 | DE (GERMANY) |
| დანარჩენი | 90 | 66 | 102 | 78 | 68 | OTHER |
| სულ | 474 | 362 | 398 | 372 | 333 | TOTAL |




უცხოელი განმცხადებლებისგან 2013 წელს 219 განაცხადი შემოვიდა. ქვეყნების მიხედვით განაწილების სურათი გვიჩვენებს, რომ უცხოელი განმცხადებლებიდან განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ განმცხადებლები აშშ-დან, რომლებმაც 64 განაცხადი შემოიტანეს.

უცხოური განაცხადების საერთაშორისო კლასიფიკაციის განყოფილების შესაბამისი დარგების მიხედვით განაწილების ანალიზი კი აჩვენებს, რომ გამოგონებათა ყველაზე მეტი რაოდენობა C განყოფილების შესაბამის დარგებზე (ქიმია; მეტალურგია) მოდის და საერთო რაოდენობის დაახლოებით 53%-ს შეადგენს. შემდეგია A ჯგუფის (ადამიანის პირველადი მოთხოვნილების საგნები) განაცხადები, რომელიც საერთო რაოდენობის 33%-ს შეადგენს. დანარჩენი დარგების შესაბამისი განაცხადების პროცენტული რაოდე-

In 2013, 219 applications were filed by foreign applicants. As the breakdown according to countries shows, applicants from the USA were especially active, who filed 64 applications.

The analysis of breakdown of local applications according to branches of the International Patent Classification shows that the largest quantity of inventions was in the branches corresponding to Section C (chemistry, metallurgy), which was about 53% of the total number. Applications in Section A (human necessities) were on the second position, forming about 33% of the total number. The percentage of applications corresponding to other branches was

## 2009-2013 წლებში შემოტანილი უცხოური განაცხადების რაოდენობა დარგების მიხედვით
## NUMBER OF FOREIGN APPLICATIONS FILED IN 2009-2013 ACCORDING TO BRANCHES

| | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| A (ადამიანის პირველადი მოთხოვნილების საგნები) | 67 | 47 | 82 | 80 | 72 | A (HUMAN NECESSITIES) |
| B (ტექნოლოგიური პროცესები) | 7 | 16 | 11 | 25 | 11 | B (TECHNOLOGICAL PROCESSES) |
| C (ქიმია; მეტალურგია) | 119 | 94 | 127 | 113 | 118 | C (CHEMISTRY; METALLURGY) |
| D (საფეიქრო ნაწარმი) | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | D (TEXTILES) |
| E (მშენებლობა; სამთო საქმე) | 9 | 6 | 18 | 10 | 7 | E (BUILDING; MINING) |
| F (მექანიკა) | 10 | 3 | 8 | 3 | 6 | F (MECHANICAL ENGINEERING) |
| G (ფიზიკა) | 3 | 8 | 12 | 3 | 3 | G (PHYSICS) |
| H (ელექტრობა) | 3 | 5 | 2 | 1 | 2 | H (ELECTRICITY) |
| სულ | 218 | 179 | 260 | 235 | 219 | TOTAL |




ნობა კი მცირეა. გასული წლების მსგავსად, არც ერთი განაცხადი არ შემოსულა D ჯგუფის (საფეიქრო ნაწარმი) შესაბამის დარგებზე.

low. Similar to previous years, no applications were filed in Section D (textiles).

უცხოელ განმცხადებლებს შორის დიდი აქტიურობით გამოირჩეოდნენ შემდეგი კომპანიები:
OF THE FOREIGN APPLICANTS THE FOLLOWING COMPANIES WERE THE MOST ACTIVE:

1. Boehringer ingelheim International GmbH – 22
2. Les laboratoires servier (fr) – 15
3. Exelis Inc – 11
4. Takeda Pharmaceutical Company Limited – 10
5. Pfizer inc (us) – 7

უცხოურისგან განსხვავებით, ადგილობრივ გამოგონებათა უმეტესობა – 36% მიეკუთვნება A (ადამიანის პირველადი მოთხოვნილების საგნები) და 20% B (ტექნოლოგიური პროცესები) განყოფილების შესაბამისი დარგების თითქმის ნახევარს. შემდეგია 17% F (მექანიკა) და 14%-ით C (ქიმია, მეტალურგია). ხოლო ყველაზე დაბალი რაოდენობრივი მაჩვენებლით (2 განაცხადი) წარმოდგენილია

Unlike foreign inventions, the majority of local inventions – 36% belongs to Section A (Human necessities) and 20% – to almost half of branches of Section B (Performing operations). These are followed by Section F (Mechanical engineering) – 17% and Section C (Chemistry, metallurgy) – 14%. Section D (Textiles) is represented by

## 2009-2013 წლებში შემოტანილი ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა დარგების მიხედვით

### NUMBER OF LOCAL APPLICATIONS FILED IN 2009-2013 ACCORDING TO BRANCHES

| | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| A (ადამიანის პირველადი მოთხოვნილების საგნები) | 87 | 60 | 29 | 36 | 41 | A (HUMAN NECESSITIES) |
| B (ტექნოლოგიური პროცესები) | 44 | 34 | 27 | 28 | 23 | B (TECHNOLOGICAL PROCESSES) |
| C (ქიმია; მეტალურგია) | 28 | 14 | 18 | 19 | 16 | C (CHEMISTRY; METALLURGY) |
| D (საფეიქრო ნაწარმი) | 3 | 0 | 0 | 0 | 2 | D (TEXTILES) |
| E (მშენებლობა; სამთო საქმე) | 19 | 15 | 16 | 10 | 4 | E (BUILDING; MINING) |
| F (მექანიკა) | 42 | 41 | 33 | 22 | 20 | F (MECHANICAL ENGINEERING) |
| G (ფიზიკა) | 20 | 8 | 4 | 10 | 5 | G (PHYSICS) |
| H (ელექტრობა) | 13 | 11 | 11 | 12 | 3 | H (ELECTRICITY) |
| სულ | 256 | 183 | 138 | 137 | 114 | TOTAL |




D ჯგუფი (საფეიქრო ნაწარმი).

გასულ 2013 წელს საქპატენტის მიერ გაცემულია 286 პატენტი გამოგონებაზე, ამასთან, საერთაშორისო პროცედურით გაცემული პატენტების რაოდენობა თითქმის 20% აჭარბებს ეროვნული პროცედურით გაცემული პატენტების რაოდენობას.

2009-2013 წლებში გამოგონებაზე გაცემული პატენტების რაოდენობრივი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში ყველაზე მეტი პატენტი (346) გაცემულია 2012 წელს.

2013 წელს საქპატენტში, როგორც „მიმღებ უწყებაში", მიღებული იყო და საერთაშორისო ბიუროში გაიგზავნა 10 განაცხადი, რომლებიც უკვე გამოქვეყნებულია საერთაშორისო ბიულეტენში. 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სულ საერთაშორისო ბიუროში გაგზავნილია 105 განაცხადი.

the lowest number (2 application).

In 2013 Sakpatenti granted 286 patents for inventions, at the same time, the number of patents granted under the international procedure exceeds by almost 20% the number of patents granted under the national procedure.

The analysis of the number of granted patents for inventions in 2009-2013 shows that over the last 5 years the greatest number of patents (346) was granted in 2012.

In 2013, 10 applications were filed with Sakpatenti as the "receiving office". They were sent to the International Bureau and are already published in the International Bulletin. By January 1, 2014, 105 applications were sent to the International Bureau.

## 2009-2013 წლებში რეგისტრირებული პატენტების რაოდენობა
## NUMBER OF PATENTS REGISTERED IN 2009-2013

| | | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეროვნული პროცედურით | | 179 | 140 | 121 | 160 | 113 | NATIONAL PROCEDURE | |
| მათ შორის | ადგილობრივი | 147 | 129 | 106 | 143 | 104 | LOCAL | AMONG THEM |
| | უცხოური | 32 | 11 | 15 | 17 | 9 | FOREIGN | |
| საერთაშორისო პროცედურით | | 114 | 118 | 116 | 186 | 173 | INTERNATIONAL PROCEDURE | |
| სულ | | 293 | 258 | 237 | 346 | 286 | TOTAL | |




## 2009-2013 წლებში ადგილობრივი განმცხადებლების სახელზე რეგისტრირებული პატენტების რაოდენობა
## NUMBER OF PATENTS REGISTERED IN THE NAME OF LOCAL APPLICANTS IN 2009-2013

| | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურიდიული პირი | 2 | 1 | 6 | 4 | 5 | LEGAL ENTITY |
| ფიზიკური პირი | 145 | 128 | 100 | 139 | 99 | NATURAL PERSON |
| სულ | 147 | 129 | 106 | 143 | 104 | TOTAL |



# სასარგებლო მოდელები

„საქართველოს საპატენტო კანონის“ შესაბამისად, საქართველოში სასარგებლო მოდელზე განსაკუთრებული უფლების მოპოვება შესაძლებელია ორი გზით. ესაა:

- ეროვნული პროცედურა, რომელიც მოიცავს განაცხადის უშუალოდ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტში“ წარდგენას;
- საერთაშორისო პროცედურა, რაც გულისხმობს საერთაშორისო განაცხადის წარდგენას საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების (PCT) შესაბამისად.

საქპატენტში სასარგებლო მოდელზე განაცხადის მიღება დაიწყო 1992 წლიდან. 2014 წლის პირველი იანვრისათვის სულ შემოსულია 2336 განაცხადი. აქედან, გაიცა 1773 პატენტი, რაც 76%-ს შეადგენს. ამასთან, საქპატენტში სასარგებლო მოდელზე შემოტანილი განაცხადების საერთო რაოდენობიდან ეროვნული პროცედურით შემოტანილია 2322 განაცხადი, საიდანაც პატენტი გაიცა 1766 სასარგებლო მოდელზე.

აღსანიშნავია, რომ გამოგონებისაგან განსხვავებით, სასარგებლო მოდელზე განსაკუთრებული უფლების მოპოვება პრაქტიკულად მხოლოდ ეროვნული პროცედურით ხდება და წლების მიხედვით მათი საერთო რაოდენობა დაახლოებით 60-დან 130-მდე მერყეობს. 2013 წლის მონაცემებით, შემოსულია 65 განაცხადი.

# UTILITY MODELS

An exclusive right in a utility model in Georgia may be acquired under the Patent Law of Georgia in two ways:

- Under the national procedure, which implies filing an application directly with the National Intellectual Property Center “Sakpatenti”;
- Under the international procedure, which implies filing an international application under the Patent Cooperation Treaty (PCT) with the International Bureau.

Sakpatenti began receiving applications for utility models in 1992. By January 1, 2014, in total 2336 applications were filed, of these, patents were granted for 1773, which is 76%. At the same time, of the total number of the applications for utility models filed with Sakpatenti, 2322 applications for were filed under the national procedure, of which patents were granted for 1766 ones.

Unlike inventions, exclusive rights in utility models are acquired practically only by the national procedure and from year to year the total number of applications varies within 60 and 130. By the data of 2013, 65 applications were filed.

## 2009-2013 წლებში შემოსული განაცხადების რაოდენობა

### NUMBER OF APPLICATIONS FILED IN 2009-2013

| | | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეროვნული პროცედურით | | 107 | 60 | 76 | 49 | 64 | NATIONAL PROCEDURE | |
| მათ შორის | ადგილობრივი | 106 | 59 | 70 | 48 | 63 | LOCAL | AMONG THEM |
| | უცხოური | 1 | 1 | 6 | 1 | 1 | FOREIGN | |
| საერთაშორისო პროცედურით | | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | INTERNATIONAL PROCEDURE | |
| სულ | | 107 | 60 | 78 | 49 | 65 | TOTAL | |




2013 წელს საერთაშორისო პროცედურით სასარგებლო მოდელზე შემოვიდა მხოლოდ 1 განაცხადი.

2009-2013 წლებში ადგილობრივი განაცხადების საერთაშორისო კლასიფიკაციის განყოფილებების დარგების მიხედვით განაწილების მონაცემთა ანალიზიდან ჩანს, რომ სასარგებლო მოდელზე განაცხადების ყველაზე მეტი რაოდენობა მოდის A განყოფილების დარგებზე (მედიცინა და ვეტერინარია; სურსათი და საკვები პროდუქტები; სოფლის მეურნეობა) და საერთო რაოდენობის დაახლოებით 50%-ს შეადგენს. სხვა დანარჩენი ჯგუფები კი ერთნაირი რაოდენობით არიან წარმოდგენილნი.

In 2013 only 1 application for utility models was filed with Sakpatenti under the international procedure.

The analysis of the data of the breakdown of local applications according to branches corresponding to Sections of the International Classification in 2009-2013 shows that the largest quantity of applications for utility models was in the branches corresponding to Section A (Medicine or Veterinary; food or Foodstuffs; Agriculture) which is about 50% of the total number. Other groups are represented in similar numbers.

### 2009-2013 წლებში შემოტანილი ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა დარგების მიხედვით

### NUMBER OF LOCAL APPLICATIONS FILED FOR INVENTIONS IN 2009-2013 ACCORDING TO BRANCHES

| | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| A (ადამიანის პირველადი მოთხოვნილების საგნები) | 50 | 34 | 47 | 24 | 31 | A (HUMAN NECESSITIES) |
| B (ტექნოლოგიური პროცესები) | 12 | 4 | 3 | 4 | 9 | B (TECHNOLOGICAL PROCESSES) |
| C (ქიმია; მეტალურგია) | 14 | 4 | 3 | 7 | 3 | C (CHEMISTRY; METALLURGY) |
| D (საფეიქრო ნაწარმი) | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | D (TEXTILES) |
| E (მშენებლობა; სამთო საქმე) | 10 | 5 | 3 | 7 | 8 | E (BUILDING; MINING) |
| F (მექანიკა) | 4 | 6 | 4 | 5 | 5 | F (MECHANICAL ENGINEERING) |
| G (ფიზიკა) | 10 | 3 | 4 | 0 | 6 | G (PHYSICS) |
| H (ელექტრობა) | 6 | 3 | 5 | 1 | 0 | H (ELECTRICITY) |
| სულ | 107 | 59 | 70 | 48 | 63 | TOTAL |




როგორც 2009-2013 წლებში ადგილობრივი განმცხადებლების (იურიდიული და ფიზიკური პირები) მიერ საქპატენტში სასარგებლო მოდელზე შემოტანილი განაცხადების რაოდენობა გვიჩვენებს, 2013 წლის მაჩვენებლებით აღსანიშნავია ფიზიკური პირების განაცხადების საერთო რაოდენობის ზრდა, რომელიც კვლავ გაცილებით აღემატება იურიდიული პირების მიერ შემოტანილი განაცხადების რაოდენობას.

2013 წელს სასარგებლო მოდელზე გაიცა 43 პატენტი.

The number of applications for utility models filed with Sakpatenti by local applicants (legal entities and natural persons) in 2009-2013 demonstrates that by the data of 2013 the total number of applications filed by natural persons increased, which again exceeds several times the number of applications filed by legal entities.

In 2013, 43 patents were granted for utility models.

## 2009-2013 წლებში ადგილობრივი განმცხადებლების (იურიდიული და ფიზიკური პირები) მიერ საქპატენტში სასარგებლო მოდელზე შემოტანილი განაცხადების რაოდენობა

### NUMBER OF APPLICATIONS FOR UTILITY MODELS FILED WITH SAKPATENTI BY LOCAL APPLICANTS (LEGAL ENTITIES AND NATURAL PERSONS) IN 2009-2013

| | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურიდიული პირი | 12 | 2 | 8 | 7 | 0 | LEGAL ENTITY |
| ფიზიკური პირი | 94 | 57 | 62 | 41 | 63 | NATURAL PERSON |
| სულ | 106 | 59 | 70 | 48 | 63 | TOTAL |




## 2009-2013 წლებში ადგილობრივ განმცხადებლებზე (იურიდიული და ფიზიკური პირები) რეგისტრირებული სასარგებლო მოდელების პატენტების რაოდენობა

### NUMBER OF PATENTS FOR UTILITY MODELS REGISTERED IN THE NAME OF LOCAL APPLICANTS (LEGAL ENTITIES AND NATURAL PERSONS) IN 2009-2013

| | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურიდიული პირი | 11 | 6 | 12 | 3 | 9 | LEGAL ENTITY |
| ფიზიკური პირი | 97 | 48 | 39 | 49 | 34 | NATURAL PERSON |
| სულ | 108 | 54 | 51 | 52 | 43 | TOTAL |



## 2009-2013 წლებში რეესტრში შეტანილი სასარგებლო მოდელის პატენტების რაოდენობა

### NUMBER OF PATENTS FOR UTILITY MODELS ENTERED IN THE REGISTER IN 2009-2013

| | | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეროვნული პროცედურით | | 110 | 55 | 52 | 59 | 43 | NATIONAL PROCEDURE | |
| მათ შორის | ადგილობრივი | 108 | 54 | 51 | 52 | 43 | LOCAL | AMONG THEM |
| | უცხოური | 2 | 1 | 1 | 7 | 0 | FOREIGN | |
| საერთაშორისო პროცედურით | | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | INTERNATIONAL PROCEDURE | |
| სულ | | 110 | 55 | 53 | 59 | 43 | TOTAL | |



# დიზაინი

საქართველოში დიზაინზე განსაკუთრებული უფლების მოპოვება ხორციელდება ორი გზით:

- ეროვნული პროცედურით, რაც მოიცავს „დიზაინის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, განაცხადის უშუალოდ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტში" წარდგენას;
- საერთაშორისო პროცედურით, რაც მოიცავს ჰააგის შეთანხმების შესაბამისად, დიზაინის საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე, დაცვის უფლებების საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელების მოთხოვნას.

ეროვნული პროცედურით დიზაინების* რეგისტრაციის მოთხოვნით განაცხადების მიღება საქპატენტმა დაიწყო 1992 წლიდან, დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბების შემდეგ.

ეროვნული პროცედურისაგან განსხვავებით, საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე, საქართველოს ტერიტორიაზე დაცვის გავრცელების მოთხოვნით საქპატენტში განაცხადების მიღება დაიწყო 11 წლით გვიან, 2003 წლის ნოემბრის ბოლოს, მას შემდეგ, რაც 2003 წელს საქართველო მიუერთდა დიზაინების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ჰააგის შეთანხმების ჰააგისა (1960 წ.) და ჟენევის (1999 წ.) აქტებს.

„დიზაინის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, საქპატენტში შემოტანილ განაცხადზე ტარდება ექსპერტიზა, რომლის საფუძველზეც მიიღება გადაწყვეტილება

* ტერმინი „დიზაინი" დამკვიდრდა 2010 წლის 24 ივნისიდან, როდესაც ძალაში შევიდა ,,დიზაინის შესახებ" საქართველოს კანონი. აღნიშნულ თარიღამდე მოქმედი კანონმდებლობით ინტელექტუალური საკუთრების ამ ობიექტს სამრეწველო ნიმუში ეწოდებოდა.

# DESIGN

In Georgia exclusive rights in a design are acquired in two ways:

- Under the national procedure, which implies filing an application according to the Law of Georgia on Design, directly with the National Intellectual Property Centre of Georgia Sakpatenti;
- Under the international procedure, which implies requesting extension of protection to the territory of Georgia according to the Hague Agreement, on the basis of international registration of a design.

Sakpatenti began receiving applications requesting registration of designs* under the national procedure in 1992, after its formation as an independent structural entity.

Unlike the national procedure, Sakpatenti began receiving notifications on the basis of international registrations requesting extension of protection to the territory of Georgia under the Hague Agreement 11 years later, at the end of November of 2003, after the accession of Georgia to the Hague Act (1960) and the Geneva Act (1999) of the Hague Agreement Concerning the International Registration of Industrial Designs in 2003.

According to the Law of Georgia on Design, examination is conducted of the application filed with Sakpatenti, on the

* The term "design" was established from June 24, 2010, when the Law of Georgia on Design came into force. Under the law effective before that date this IP object was called "industrial design".

დიზაინის რეგისტრაციის თაობაზე. ექსპერტიზის პროცედურა მოიცავს განაცხადის შეტანის თარიღის დადგენას, ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზასა და არსობრივ ექსპერტიზას. დიზაინის რეგისტრაციის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, განაცხადის მონაცემები და დიზაინის გამოსახულება ქვეყნდება სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში. ამასთან, თუ გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში საქპატენტის სააპელაციო პალატაში არ შევა სააპელაციო საჩივარი, დიზაინი რეგისტრირდება.

ჩვეულებრივ, განაცხადის ექსპერტიზის პროცედურა დაახლოებით 6 თვიდან ერთ წლამდე ვადას მოითხოვს, ახალი კანონი „დიზაინის შესახებ" კი საშუალებას აძლევს ადგილობრივ და უცხოელ განმცხადებლებს მოითხოვონ საქპატენტში შემოტანილი განაცხადის განხილვა და დიზაინის რეგისტრაცია დაჩქარებული პროცედურით. ამ შემთხვევაში, განაცხადის ექსპერტიზის და დიზაინის რეგისტრაციის პროცედურის ხანგრძლივობა, მოწმობის მიღების ჩათვლით, შეადგენს 1,5 თვეს.

1992 წლიდან 2014 წლის პირველ იანვრამდე საქპატენტში დიზაინის/სამრეწველო ნიმუშის, რეგისტრაციის მოთხოვნით ეროვნული პროცედურით სულ შემოვიდა 781 განაცხადი, აქედან დარეგისტრირდა 540, რაც საერთო რაოდენობის 69%-ს შეადგენს. ხოლო დაჩქარებული პროცედურის მოთხოვნით „დიზაინის შესახებ" კანონის მიღების დღიდან 2013 წლის ბოლომდე შემოვიდა 37 განაცხადი დიზაინზე, რომელიც ჯამში შეიცავდა 114 დიზაინს, აქედან დარეგისტრირდა 34 განაცხადის დიზაინი.

2013 წელს როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო პროცედურით საქპატენტში განსახილველად შემოვიდა 310 განაცხადი დიზაინზე, რაც 66-ით მეტია 2012 წლის მაჩვენებელზე (244 განაცხადი დიზაინზე). აქედან, ეროვნული პროცედურით შემოვიდა 49 განაცხადი, ხოლო საერთაშორისო პროცედურით – 261 განაცხადი.

basis of which, a decision is taken concerning the registration of the design. Along with this, the examination procedure includes confirmation of the filing date, carrying out examination as to formal requirements and substantive examination. In case of taking decision concerning the design registration, the application data and design representations are published in the Official Bulletin of Industrial Property. If within a three-month period no appeal is filed with the Chamber of Appeal of Sakpatenti, the design is registered.

Usually, the examination procedure takes a period from 6 months to 1 year. The new Law on Design enables local or foreign applicants to request processing of the application filed with Sakpatenti and design registration by the accelerated procedure. In this case, the duration of application examination and design registration procedure, including the issue of the certificate, is 1.5 month.

From 1992 to January 1, 2014, in total 781 applications for design/industrial design registration were filed with Sakpatenti under the national procedure, of which 540 ones were registered, which is 69 % of the total amount. From the date of enacting the Law on Design to the end of 2013, 37 design applications were filed under the accelerated procedure, which in total included 114 designs, of these, designs of 34 applications were registered.

In 2013, 310 applications for designs were filed for consideration with Sakpatenti under the national and international procedures, which is more by 66 as compared with the number of the 2012 data (244 applications for designs). Of these, 49 applications for designs were filed under the national procedure and 261 applications for designs were filed under the international procedure.

## 2009-2013 წლებში ეროვნული და საერთაშორისო პროცედურებით საქპატენტში შემოსული განაცხადების რაოდენობა

## NUMBER OF APPLICATIONS FILED WITH SAKPATENTI IN 2009-2013 UNDER THE NATIONAL AND INTERNATIONAL PROCEDURES

| | | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეროვნული პროცედურით | | 67 | 47 | 46 | 56 | 49 | NATIONAL PROCEDURE | |
| მათ შორის | ადგილობრივი | 49 | 39 | 39 | 44 | 39 | LOCAL | AMONG THEM |
| | უცხოური | 18 | 8 | 7 | 12 | 10 | FOREIGN | |
| საერთაშორისო პროცედურით | | 204 | 186 | 190 | 188 | 261 | INTERNATIONAL PROCEDURE | |
| სულ | | 271 | 233 | 236 | 244 | 310 | TOTAL | |




2013 წელს ეროვნული პროცედურით საქპატენტში დიზაინზე შემოსული განაცხადებიდან 39 შემოტანილი იყო ადგილობრივი განმცხადებლის მიერ, რაც საერთო რაოდენობის 79%-ს შეადგენს, ხოლო 10 შემოტანილი იყო უცხოელი განმცხადებლის მიერ, რაც საერთო რაოდენობის 21%-ია.

ეროვნული პროცედურით შემოსული უცხოელი განმცხადებლების 10 განაცხადი ქვეყნების მიხედვით განაწილდა შემდეგნაირად:

| | |
|---|---|
| უკრაინა | 3 |
| თურქეთი | 3 |
| რუსეთი | 2 |
| დიდი ბრიტანეთი | 1 |
| აშშ | 1 |

2009-2013 წლებში საქპატენტში ეროვნული პროცედურით შემოტანილი და საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძ-

Of the design applications filed with Sakpatenti under the national procedure in 2013, 39 were filed by local applicants, which is 79% of the total amount, and 10 were filed by foreign applicants, which is 21% of the total number.

The breakdown according to countries of the 10 applications filed by foreign applicants under the national procedure is as follows:

| | |
|---|---|
| Ukraine | 3 |
| Turkey | 3 |
| Russia | 2 |
| Great Britain | 1 |
| USA | 1 |

The dynamics of filing applications for designs filed with Sakpatenti under the national procedure and on the basis

ველზე მიღებული დიზაინის განაცხადების დინამიკა გვიჩვენებს, რომ უკანასკნელ სამ წელიწადში განსახილველად მიღებული განაცხადების საერთო რაოდენობა დაახლოებით ერთნაირია, თუმცა 2013 წელს დაფიქსირდა ეროვნული ადგილობრივი და უცხოელი განმცხადებლების მიერ შემოტანილი განაცხადების რაოდენობის მცირე მატება.

2013 წელს ადგილობრივი განმცხადებლების (იურიდიული და ფიზიკური პირების) მიერ საქპატენტში შემოტანილი განაცხადების რაოდენობა გვიჩვენებს, რომ 2012 წელთან შედარებით იკლო როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირების მიერ შემოტანილი განაცხადების რაოდენობამ, რაც 27% შეადგენს, მაგრამ 2013 წელს ფიზიკურ პირებზე მეტად იაქტიურეს იურიდიულმა პირებმა და მათ მიერ შემოტანილი განაცხადები საერთო რაოდენობის 69%-ს შეადგენს, რაც 5 %-ით მეტია 2012 წლის ამ მაჩვენებელთან შედარებით.

2013 წელს სამრეწველო საკუთრების რეესტრში დარეგისტრირდა 42 ეროვნული განაცხადით შემოსული დიზაინები, აქედან, 33 განაცხადის დიზაინები ადგილობრივი, ხოლო 9 – უცხოელი მფლობელის სახელზე. უცხოელი მფლობელის სახელზე რეგისტრირებული დიზაინების განაცხადების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით ასე გამოიყურება:

| | |
|---|---|
| უკრაინა | – 2 |
| სამხრეთ აფრიკა | – 2 |
| ფინეთი | – 1 |
| დიდი ბრიტანეთი | – 1 |
| რუსეთი | – 1 |
| თურქეთი | – 1 |
| აშშ | – 1 |

დიზაინის საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით ეს განაცხადები განაწილებულია შემდეგნაირად:

მე-9 კლასი (ტარა) – 4;

მე-19 კლასი (საკანცელარიო და საკანტორო საკუთნო) – 2;

23-ე კლასი (გათბობის და სავენტილა-

of the international registration in 2009-2013 shows that the total number of designs received for consideration during last three years is about the same, but in 2013 the number of applications filed under the national procedure by local and foreign applicants increased slightly.

The number of applications filed with Sakpatenti by local applicants in 2013 (legal entities and natural persons) demonstrates that as compared with 2012 the number of applications filed by legal entities and natural persons decreased, which was 27%. However, in 2013 legal entities were more active than natural persons and the applications filed by the legal entities is 69% of the total number, which is more by 5% as compared with 2012.

In 2013, designs filed in 42 national applications were recorded in the Register of Industrial Property, of these 33 ones in the name of local, and 9 – in the name of foreign owners.The breakdown of the designs registered in the name of foreign owners according to countries is as follows:

| | |
|---|---|
| Ukraine | – 2 |
| South Africa | – 2 |
| Finland | – 1 |
| Great Britain | – 1 |
| Russia | – 1 |
| Turkey | – 1 |
| USA | – 1 |

The breakdown of these applications according to classes is the following:

Class 9 (Packages and containers) – 4;

Class 19 (Stationery and office equipment) – 2;

Class 23 (Fluid distribution equipment, sanitary, heating, ventilation and air-con-

ციო მოწყობილობები) – 2;

მე-13 კლასი (ელექტრული ენერგიის მისაღები და გასანაწილებელი მოწყობილობები) – 1.

ditioning equipment) – 2:

Class 13 (Equipment for production, distribution or transformation of electricity) – 1.

## 2009-2013 წლებში ადგილობრივი განმცხადებლების მიერ საქპატენტში შემოტანილი განაცხადების რაოდენობა

## NUMBER OF APPLICATIONS FILED WITH SAKPATENTI BY LOCAL APPLICANTS IN 2009-2013

| | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურიდიული პირი | 26 | 7 | 13 | 16 | 12 | LEGAL ENTITY |
| ფიზიკური პირი | 23 | 32 | 26 | 28 | 27 | NATURAL PERSON |
| სულ: | 49 | 39 | 39 | 44 | 39 | TOTAL |




## 2009-2013 წლებში ადგილობრივი მფლობელების სახელზე რეგისტრირებული განაცხადების რაოდენობა

## NUMBER OF APPLICATIONS REGISTERED IN THE NAME OF LOCAL OWNERS IN 2009-2013

| | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურიდიული პირი | 10 | 14 | 9 | 12 | 11 | LEGAL ENTITY |
| ფიზიკური პირი | 10 | 15 | 22 | 15 | 23 | NATURAL PERSON |
| სულ | 20 | 29 | 31 | 27 | 34 | TOTAL |



ადგილობრივი მფლობელის სახელზე რეგისტრირებული დიზაინების 33 განაცხადი კი ამავე კლასიფიკაციის მიხედვით ასე განაწილდა:

32-ე კლასი (გრაფიკული სიმბოლოები ლოგო და მორთულობა) – 9;

მე-9 კლასი (ტარა და საფუთავები) – 7;

მე-7 კლასი (საოჯახო ნივთები) – 3;

პირველი კლასი (კვების პროდუქტები) – 3;

მე-2 კლასი (სამოსი და გალანტერია) – 3;

მე-19 კლასი (საკანცელარიო საქონელი და ნაბეჭდი პროდუქცია) – 2;

21-ე კლასი (სათამაშოები და სასპორტო საქონელი) – 2;

თითო განაცხადი მე-6, მე-20, 23-ე და 25-ე კლასებში.

2003-2013 წლების პერიოდის მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიაზე დაცვის გავრცელების მოთხოვნით მიღებული საერთაშორისო რეგისტრაციების რაოდენობა 2607 ერთეულს შეადგენს, საიდანაც დაცვა მიენიჭა 2558 განაცხადის დიზაინებს/სამრეწველო ნიმუშებს, რაც საერთო რაოდენობის 97%-ს შეადგენს.

საერთაშორისო პროცედურით საქართველოს ტერიტორიაზე უფლებათა გავრცელების მოთხოვნით განაცხადების პრიორიტეტული დაცვის ობიექტებად კვლავ რჩება საათები, ტარა და საიუველირო ნაწარმი. კვლავ განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევიან განმცხადებლები შვეიცარიიდან, გერმანიიდან და საფრანგეთიდან, თუმცა შედარებით გაიზარდა განმცხადებლების რიცხვი თურქეთიდან.

2013 წელს საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელდა 261 განაცხადი, რომელიც 1019 განსახილველ დიზაინს მოიცავდა, დიზაინების საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით ეს განაცხადები განაწილებულია შემდეგნაირად:

მე-10 კლასი – 123
მე-11 კლასი – 16
მე-15 კლასი – 15
25-ე კლასი – 10
მე-14 კლასი – 8

The breakdown of the 33 designs registered in the name of the local owners according to the same classification is the following:

Class 32 (Graphic symbols and logos, surface patterns, ornamentation) – 9.

Class 9 (Packages and containers) – 7;

Class 7 (Household goods) – 3;

Class 1 (Foodstuffs) – 3;

Class 2 (Articles of clothing and haberdashery) – 3;

Class 19 (Stationery and office equipment) – 2;

Class 21 (Games, toys, tents and sports goods) – 2;

Classes 6, 20, 23 and 25 – 1 application for each class.

According to the data of 2003-2013, the number of international registrations requesting extension to Georgia is 2607, of which protection was granted to designs/industrial designs of 2558 applications, which is 97% of the total number. Priority objects of protection with request of extension of the rights to Georgia under the international procedure were again watches, tare and jewellery. Applicants from Switzerland, Germany and France again were especially active. The number of applicants from Turkey also increased.

In 2013, 261 applications were extended to the territory of Georgia on the basis of international registration. They included 1019 designs filed for consideration, the breakdown according to classes was the following:

Class 10 – 123
Class 11 – 16
Class 15 – 15
Class 25 – 10
Class 14 – 8

მე-2 კლასი – 7
მე-13 კლასი – 6
32-ე კლასი – 6
23-ე კლასი – 6
მე-7 კლასი – 3
მე-9 კლასი – 2
26-ე კლასი – 2

საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე საქართველოს ტერიტორიაზე 2013 წელს გავრცელდა 205 განაცხადის შესაბამისი დიზაინების მოქმედება, რომელთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 726.

Class 2 – 7
Class 13 – 6
Class 23 – 6
Class 32 – 6
Class 7 – 3
Class 9 – 2
Class 26 – 2

On the basis of international registration, designs of 205 applications were extended to the territory of Georgia, the total number of which is 726.

**2009-2013 წლებში ეროვნული და საერთაშორისო პროცედურით მიღებული განაცხადების რაოდენობა, რომელთაც მიენიჭათ დაცვა საქართველოში**

**NUMBER OF PROTECTED APPLICATIONS IN GEORGIA IN 2009-2013 FILED UNDER THE NATIONAL AND INTERNATIONAL PROCEDURE**

| | | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეროვნული პროცედურით | | 33 | 40 | 38 | 38 | 42 | NATIONAL PROCEDURE | |
| მათ შორის | ადგილობრივი | 20 | 29 | 31 | 27 | 33 | LOCAL | AMONG THEM |
| | უცხოური | 13 | 11 | 7 | 11 | 9 | FOREIGN | |
| საერთაშორისო პროცედურით | | 215 | 144 | 187 | 185 | 205 | INTERNATIONAL PROCEDURE | |
| სულ | | 248 | 184 | 225 | 223 | 247 | TOTAL | |



# მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშები

საქართველოში მცენარეთა და ცხოველთა ახალ ჯიშებზე განსაკუთრებული უფლების მოპოვება და მათი სამართლებრივი დაცვა ხორციელდება საქართველოს კანონით „მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ", რომელიც ძალაში შევიდა 2010 წლის 29 დეკემბერს.

აღნიშნული კანონის თანახმად, რომელიც ვრცელდება მცენარეთა და ცხოველთა ყველა გვარსა და სახეობაზე, მცენარისა და ცხოველის ახალი ჯიშის დაცვისუნარიანობის კრიტერიუმებია: სიახლე, განსხვავებულობა, ერთგვაროვნება და სტაბილურობა. კანონი ითვალისწინებს საქპატენტში შემოტანილი განაცხადის ექსპერტიზას, რომლის საფუძველზე უწყება იღებს გადაწყვეტილებას მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშის რეგისტრაციის შესახებ. ამასთან, ექსპერტიზის პროცედურა მოიცავს განაცხადის შეტანის თარიღის დადასტურებას, ფორმალური ექსპერტიზის ჩატარებას, საგანაცხადო მასალების „მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის" ოფიციალურ ბიულეტენში გამოქვეყნებას (პირველი პუბლიკაცია) და, აგრეთვე, მცენარის ან ცხოველის ახალი ჯიშის გადაცემას გამოსაცდელად განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე.

აღსანიშნავია, რომ 2008 წელს საქართველო მიუერთდა მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კონვენციას 1991 წლის აქტით და გახდა UPOV-ის 66-ე წევრი, სწორედ ამ წლიდან დაიწყო საქპატენტში განაცხადების მიღება 2006 წლიდან მოქმედი „მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ" და „ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ" კანონების შესაბამისად.

# NEW VARIETIES OF PLANTS AND BREEDS OF ANIMALS

In Georgia exclusive rights in new varieties of plants and breeds of animals are acquired and protected legally on the basis of the Law of Georgia "On New Breeds of Animals and Varieties of Plants", which entered into force on December 29, 2010.

According to the Law, which applies to all genera and species of plants and animals, protectability criteria of a new animal breed/plant variety are: novelty, distinctness, uniformity, and stability. The Law provides for examination of an application filed with Sakpatenti, on the basis of which the Office takes a decision on the registration of the new plant variety or animal breed. The examination procedure includes establishing the filing date of the application, conducting examination as to form, publication in the Official Bulletin for the Protection of New Plant Varieties and Animal Breeds (first publication) and handing over the new plant variety/animal breed for testing for distinctness, uniformity and stability.

It should be noted that in 2008 Georgia acceded to the International Convention of the International Union for the Protection of New Varieties of Plants (UPOV) and became the 66th member state of UPOV. From this year Sakpatenti began receiving applications for new varieties/breeds on the basis of the Laws of Georgia "For the Protection of New Varieties of Plants" and "For the Protection of New Breeds of Animals", effective at that time (2006).

From 2008 to January 1, 2014, in total 90 applications for new varieties/breeds were

2008 წლიდან 2014 წლის პირველ იანვრამდე საქპატენტში დასარეგისტრირებლად შემოსულია მცენარისა და ცხოველის ახალ ჯიშზე 90 განაცხადი, რომლებიც წლების მიხედვით ასე გამოიყურება:

2008 წელი – 7 განაცხადი:

- სიმინდის ახალ ჯიშზე – 5 („ლომთაგორა 1", „ლომთაგორა 2", „ლომთაგორა 3", „ლომთაგორა 4", „ლომთაგორა 5");
- ხორბლის ახალ ჯიშზე – 2 („გორდა", „ლომთაგორა 123").

2009 წელი – 7 განაცხადი:

- კალმახის ახალ ჯიშზე – 1 („მარადიდი");
- ქერის ახალ ჯიშზე – 2 („ალავერდი", „ზეს 5");
- ხახვის ახალ ჯიშზე – 1 („ვარდისფერი 32");
- სიმინდის ახალ ჯიშზე – 1 („წეროვანი 4");
- თუთის ახალ ჯიშზე – 2 („აისი", „ფაზისი").

2010 წელი – 10 განაცხადი:

- პომიდვრის ახალ ჯიშზე – 2 („ვარდისფერი ჭოპორტულა", „საადრეო");
- საბოსტნე სოიას ახალ ჯიშზე – 2 („საბოსტნე-1", „მწვანეპარკიანი");
- მუხუდოს ახალ ჯიშზე – 2 („არაგვი", „სარკინეთი");
- სიმინდის ახალ ჯიშზე – 1 („წეროვანი 5");
- ხორბლის ახალ ჯიშზე – 1 („საული");
- ლობიოს ახალ ჯიშზე – 1 („გარდაბნული ჭრელა");
- ოსპის ახალ ჯიშზე 1 („წილკანი").

2011 წელი – 10 განაცხადი, მათ შორის 1 უცხოელი განმცხადებლის:

- სიმინდის ახალ ჯიშზე – 3 („წილკანი 1", „წილკანი 2", „ბექა");
- ხორბლის ახალ ჯიშზე – 3 („ალაზნის ველი", „ალმასი", „ლომთაგორა 109");
- ვაშლის ახალ ჯიშზე – 1 („G-198");
- სტევიას ახალ ჯიშზე – 1 („დედა");
- ხახვის ახალ ჯიშზე – 1 („ლიზი");
- კომბოსტოს ახალ ჯიშზე – 1 („ლიკანი").

ექსპერტიზის დასრულების შედეგად, აღნიშნულ ჯიშებზე გაიცა სელექციონერის უფლების დამადასტურებელი მოწმობები.

filed with Sakpatenti for registration. According to years, they are as follows:

2008 – 7 applications:

- New variety of maize – 5 ("Lomtagora 1", "Lomtagora 2", "Lomtagora 3", "Lomtagora 4", Lomtagora 5");
- New variety of wheat – 2 ("Gorda", "Lomtagora 123").

2009 – 7 applications:

- New trout breed – 1 ("Maradidi");
- New variety of barley – 2 ("Alaverdi", "Zes5");
- New variety of onion – 1 ("Vardisperi 32");
- New variety of maize – 1 ("Tserovani 4");
- New variety of mulberry – 2 ("Aisi", "Fazisi").

2010 – 10 applications:

- New variety of tomato – 2 ("Vardisperi Choportula", "Saadreo");
- New variety of garden soya – 2 ("Sabostne-I", "Mtsvaneparkiani");
- New variety of pea – 2 ("Aragvi", "Sarkineti");
- New variety of maize – 1 ("Tserovani 5");
- New variety of wheat – 1 ("Sauli");
- New variety of bean – 1 ("Gardabnuli Chrela");
- New variety of lentil – 1 ("Tsilkani").

2011 – 10 applications, of these one from a foreign applicant:

- New variety of maize – 3 ("Tsilkani I", "Tsilkani 2", "Beka");
- New variety of wheat – 3 ("Alaznis veli", "Almasi", Lomtagora 109");
- New variety of apple – 1 ("G-198");
- New variety of stevia – 1 ("Deda");
- New variety of onion – 1 ("Lizi");
- New variety of cabbage – 1 ("Likani").

After the completion of the examination on these varieties, certificates confirming breeder's rights were issued and relevant

შესაბამისი ინფორმაცია კი გამოქვეყნდა „მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის ოფიციალურ ბიულეტენში“.

2012 წელი – მოიმატა განაცხადების რაოდენობამ. შემოტანილია 20 განაცხადი, მათ შორის 7 უცხოელი განმცხადებლის მიერ. ესენია:

- კარტოფილის ახალი ჯიში – 7 („ევერესტი“, „ლაბადია“, „ელ მუნდო“, „მონდეო – SM 99-5107“, „მესხური“, „მესხური წითელი“, „ჯავახეთური“);
- ხორბლის ახალი ჯიში – 4 („ლომთაგორა 149“, „ალატუსი“, „ესტივუსი“, „გენიუსი“);
- თუთის ახალი ჯიში – 7 („ეგრისი“, „ნატა“, „ქუთაისური 1“, „ქუთაისური 2“, „ათინათი“, „თვალთაი“, „ლილე“);
- სიმინდის ახალი ჯიში – 1 („ყაზბეგი“);
- ლობიოს ახალი ჯიში – 1 („მრავალმარცვალა“).

2013 წელი – განსაკუთრებით შესამჩნევია განაცხადების რაოდენობის ზრდა. დასარეგისტრირებლად შემოვიდა 36 განაცხადი, მათ შორის 12 უცხოელი განმცხადებლის:

- ბაღის ლურჯი მოცვის ახალი ჯიში – 13 („ერლი ბლუ“, „სანრაიზი“, „სპარტანი“, „ტორო“, „ელიზაბეტი“, „დიუკი“, „ბრიგიტა“, „ბონუსი“, „ჩანდლერი“, „ბლუგოლდი“, „პატრიოტი“, „ბერკლი“, „ბლუკროპი“);
- სიმინდის ახალი ჯიში – 9 („საბა“, „კახურა“, ,,AS 34005’’, ,,AS 32005’’, ,,AS 13330’’, ,,AS 34102’’, ,,AS 13290’’, ,,AS 13291’’, ,,AS 13320’’);
- მზესუმზირის ახალი ჯიში – 4 (,,AS 34103’’, ,,AS 34102’’, ,,AS 34111’’, ,,AS 34110’’)
- თხილის ახალი ჯიში – 3 („იმერული“, „იბერია“, „ლეგი“);
- კაკლის ახალი ჯიში – 2 („ანანო“, „ნუგო“);
- ხორბლის ახალი ჯიში – 2 („ტანია“, „იუკა“);
- შვრიის ახალი ჯიში – 1 („აივორი“);
- ჩაის ახალი ჯიში – 1 („ქართული მეწამული“);
- პომიდვრის ახალი ჯიში – 1 („არაგვი“).

information was published in the Official Bulletin for the Protection of New Plant Varieties and Animal Breeds.

In 2012, the number of applications increased. 20 applications were filed, of these 7 from foreign applicants. These are:

- New variety of potato – 7 (“Everest”, “Labadia”, “El Mundo”, “Mondeo/SM 99-5107”, “Meskhuri”, “Meskhuri Tsiteli”, “Javakheturi”);
- New variety of wheat – 4 (“Lomtagora 149”, “Alatus”, “Estivus”, “Genius”);
- New variety of mulberry – 7 (“Egrisi”, “Nata”, “Kutaisuri1”, “Kutaisuri 2”, “Atinati”, “Tvaltai”, “Lile”);
- New variety of maize – 1 (“Kazbegi”);
- New variety of bean – 1 (“Mravalmartsvala”).

The year 2013 was particularly noteworthy for the increase of the number of applications. 36 applications were filed for registration, including 12 from foreign applicants:

- New variety of blueberry – 13 (“Early Blue”, Sunrise”, “Spartan”, “Toro”, “Elizabeth”, “Duke”, “Brigitta Blue”, ”Bonus”, Chandler”, “Bluegold”, “Patriot”, “Berkeley”, “Bluecrop”);
- New variety of maize – 9 (“Saba”, “Kakhura”, “AS 34005”, “AS 32005”, “AS 13330”, “AS 34102”, “AS 13290”, “AS 13291”, “AS 13320”);
- New variety of sunflower – 4 (“AS 34103”, “AS 34102’”, “AS 34111”, “AS 34110”);
- New variety of hazelnut – 3 (“Imeruli”, “Iberia”, “Legi”);
- New variety of walnuts – 2 (“Anano”, “Nugo”);
- New variety of wheat – 2 (“Tania”, “Iuka”);
- New variety of oats – 1 (“Ivory”);
- New variety of tea – 1 (“Kartuli Metsamuli”);
- New variety of tomato – 1 (“Aragvi”).

**კულტურების მიხედვით შემოსული განაცხადების რაოდენობა ასე გადანაწილდა:**

- ხორბლის ახალი ჯიში – 12
- სიმინდის ახალი ჯიში – 22
- ბაღის ლურჯი მოცვის ახალი ჯიში –13
- თუთის ახალი ჯიში – 9
- კარტოფილის ახალი ჯიში – 7
- მზესუმზირის ახალი ჯიში – 4
- ქერის ახალი ჯიში – 2
- ხახვის ახალი ჯიში – 2
- პომიდვრის ახალი ჯიში – 3
- საბოსტნე სოიას ახალი ჯიში – 2
- მუხუდოს ახალი ჯიში – 2
- ოსპის ახალი ჯიში – 1
- ლობიოს ახალი ჯიში – 2
- ვაშლის ახალი ჯიში – 1
- სტევიას ახალი ჯიში – 1
- კომბოსტოს ახალი ჯიში – 1
- თხილის ახალი ჯიში – 3
- კაკლის ახალი ჯიში – 2
- ჩაის ახალი ჯიში – 1
- კალმახის ახალი ჯიში – 1.

**სელექციონერების სია განაცხადების რაოდენობის მიხედვით ასე გამოიყურება:**

1. სსიპ სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი – 25 განაცხადი;
2. შპს „ვანრიკი" – 13 განაცხადი;
3. „ასპრია სიიდს" ლუქსემბურგი – 11 განაცხადი;
4. შპს ფირმა „ლომთაგორა" – 8 განაცხადი;
5. თინათინ დალალიშვილი, ემზარ ჭოლაძე, ლიანა ნაცვლიშვილი, ნაზი თვალჭრელიძე – 7 განაცხადი.
6. „საატენ იუნიონი" გერმანია – 4 განაცხადი;
7. „ქვს პოტატო ბ.ვ. ჰოლანდია" – 4 განაცხადი;
8. სათესლე და სარგავი მასალების წარმოების სამეცნიერო-საწარმოო ცენტრი შპს „აგრო ქართუ" – 3 განაცხადი;
9. ნატო კაკაბაძე, ელენე მოთიაშვილი – 2 განაცხადი;
10. ნინო ჯიბღაშვილი, მედეა სარაჯიშვილი – 1 განაცხადი;

**THE BREAKDOWN OF NUMBER OF APPLICATIONS FILED ACCORDING TO CULTURES:**

- New variety of wheat – 12
- New variety of maize – 22
- New variety of blueberry – 13
- New variety of mulberry – 9
- New variety of potato – 7
- New variety of sunflower – 4
- New variety of barley – 2
- New variety of onion – 2
- New variety of tomato – 2
- New garden variety of soya – 2
- New variety of pea – 2
- New variety of lentil – 1
- New variety of bean – 2
- New variety of apple – 1
- New variety of stevia – 1
- New variety of cabbage – 1
- New variety of hazelnut – 3
- New variety of walnuts – 2
- New variety of tea – 1
- New trout breed – 1.

**THE LIST OF BREEDERS ACCORDING TO THE NUMBER OF APPLICATIONS IS AS FOLLOWS:**

1. LEPL State Agrarian University – 25 applications;
2. LTD "Vanrik" – 13 applications;
3. "Aspria Seeds" Luxembourg – 11 applications;
4. LTD firm "Lomtagora" – 8 applications;
5. Tinatin Dalalishvili, Emzar Choladze, Liana Natsvishvili, Nazi Tvalchrelidze – 7 applications;
6. "Saaten Union" Germany – 4 applications;
7. "KWS POTATO B.V" Holland – 4 applications;
8. Scientific-Industrial Centre for production of seeds and plating materials LTD "Agro Kartu" – 3 applications;
9. Nato Kakabadze, Elene Motiashvili – 2 applications;
10. Nino Jibghashvili, Medea Sarajishvili – 1 application;

11. ვ. კონსორციო იტალიანო ვივაისტი – 1 განაცხადი;
12. ახმედ დიასამიძე, იბრაიმ დიდმანიძე – 1 განაცხადი.

2013 წელი აღსანიშნავია იმითაც, რომ დასრულდა მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების (MS ACCESS) მონაცემთა ბაზის რეორგანიზაცია, „Unicode“ ფორმატში ინფორმაციით შევსება და სრულყოფა. უახლოეს მომავალში, ახალი ბაზა ხელმისაწვდომი იქნება არა მხოლოდ შიდა საუწყებო ქსელიდან, არამედ საქპატენტის ვებგვერდიდანაც. შემუშავდა, ასევე, სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა მცენარეთა ახალი ჯიშების ბიბლიოგრაფიული მონაცემების გენერაციისათვის და შესაბამისი სტანდარტით UPOV-ის მონაცემთა ბაზისათვის მისაწოდებლად.

11. C.i.v. – Consorzio Italiano Vivaisti – Societa Consortile A.R.l. – 1 application;
12. Akhmed Diasamidze, Ibraim Didmanidze – 1 application.

The year 2013 was also noteworthy for the fact that the reorganization of the database of new varieties and breeds (MS ACCESS) was completed, the database was filled with the information in Unicode format and perfected. In near future the new database will be accessible not only from the inner network of the office but also from the Sakpatenti website. Along with this, special software was developed for generation of bibliographic data of new plant varieties and for providing them to the UPOV database according to the relevant standard.

**შემოტანილი განაცხადების რაოდენობა წლების მიხედვით (2009-2013)**

**NUMBER OF FILED APPLICATIONS ACCORDING TO YEARS (2009-2013)**

| წლები<br>YEARS | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 |
|---|---|---|---|---|---|
| განაცხადის რაოდენობა<br>NUMBER OF APPLICATIONS | 7 | 10 | 10 | 20 | 36 |



# ინოვაციები და ტექნოლოგიების გადაცემა

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების გადაცემის დეპარტამენტი შეიქმნა 2012 წლის თებერვალში. მისი მიზანია მხარი დაუჭიროს და გაუწიოს ტექნიკური დახმარება საქართველოში არსებულ მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესს, გაზარდოს მათი ხელმისაწვდომობა ახალ ტექნოლოგიებზე და გააუმჯობესოს მათი ეფექტურობა. ამავდროულად, დეპარტამენტი ემსახურება უნივერსიტეტებსა და კვლევით ორგანიზაციებს არსებული ტექნოლოგიებისა და გამოგონებების კომერციალიზაციაში. თავისი საქმიანობით დეპარტამენტი ხელს უწყობს თანამშრომლობასა და სწორი კომუნიკაციის დამყარებას საერთაშორისო და ადგილობრივ კვლევით ორგანიზაციებსა და მცირე და საშუალო ბიზნესს შორის.

2013 წლის განმავლობაში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების გადაცემის დეპარტამენტი ახორციელებდა და კვლავაც განაგრძობს ფართო საკონსულტაციო და საგანმანათლებლო საქმიანობას ინოვაციების, ტექნოლოგიების გადაცემისა და გამოგონების კომერციალიზაციის საკითხებთან დაკავშირებით როგორც გამომგონებლებთან, ასევე, ბიზნესთან და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების გადაცემის სფეროში ცნობიერების ამაღლების მიზნით, 2013 წლის მანძილზე სხვადასხვა კატეგორიის ჯგუფებთან (გამომგონებლები, ბიზნესი, სამეცნიერო სექტორი) და გაერთიანებებთან ჩატარდა არაერთი შეხვედრა და ტრეინინგი. კერძოდ, გასულ წელს ჩატარდა 200-მდე ინდივიდუალური კონსულტაცია და განმარტებითი საუბარი, გაიმართა 30 შეხვედრა ბიზნეს ასოციაციებთან და

# INNOVATION AND TECHNOLOGY TRANSFER

The Technology Transfer Center of Georgia (TTCG) was established in February 2012 as a department of National Intellectual Property Center Sakpatenti. The main objective of the TTCG is to support and technically assist small and medium-sized enterprises (SMEs), increase their access to new technologies and consequently raise their effectiveness and efficiency.Moreover, the department helps universities and research organizations in commercialization of existing inventions. TTCG promotes formation of collaboration and effective communication between international and local research organizations and small and medium-sized enterprises (SMEs).

Starting from 2013, TTCG is actively involved in educational and consultation activities with inventors, business and scientific-research organizations regarding commercialization of innovations, technology transfer and invention. In 2013, various meetings and trainings with people from different groups (inventors, business, scientific sector) and organizations with the aim of raising awareness of innovation and technology transfer were held. More precisely, last year around 200 individual consultations and explanatory talks took place and 30 meetings were conducted with business associations and universities. During the meetings, based on the interested party requests, specific mechanisms and principles were explained, also practical topics were discussed, which directly concerns patenting of invention and utility model, financing of trial models, commercialization and specific legal issues like signing of intellectual property related

უნივერსიტეტებთან. შეხვედრების დროს, დაინტერესებული მხარეების თხოვნით, ხდებოდა კონკრეტული მექანიზმებისა და პრინციპების განმარტება, ასევე, იმ პრაქტიკული საკითხების განხილვა, რომლებიც უშუალოდ ეხება გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის დაპატენტებას, საცდელი მოდელების შექმნის დაფინანსებას, კომერციალიზაციასა და ისეთ კონკრეტულ იურიდიულ საკითხებს, როგორიცაა ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების გაფორმება, ჰონორარის მიღების წესები და, უფლებების დარღვევის შემთხვევაში, კანონით გათვალისწინებული ზომების გამოყენების შესაძლებლობები.

2013 წლის 5-7 თებერვალს ბიზნესის მოთხოვნების შესაბამისად, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) დახმარებით, ჩატარდა მიზნობრივი ტრეინინგი „ბაზარზე ორიენტირებული ინოვაციური მართვა". აღნიშნული ტრეინინგი ჩაატარეს ამ ღონისძიებისთვის სპეციალურად მოწვეულმა ლაიფციგის უნივერსიტეტისა და საერთაშორისო პროგრამის "SEPT"-ის პროფესორებმა. ტრეინინგში მონაწილე 18 ქართული კომპანიისათვის, მათ შორის, მიკრო, მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოების წარმომადგენლებისათვის ზოგადი ტრეინინგის გარდა, მოეწყო ცალკე ინდივიდუალური შეხვედრებიც, სადაც განხილულ იქნა თითოეული კომპანიის წარმატება და მის წინაშე მდგარი გამოწვევები. შეხვედრების დროს კომპანიებს საშუალება ჰქონდათ უშუალოდ მოწვეული პროფესორებისაგან ესწავლათ ახალი მეთოდებითა და მიდგომებით კონკრეტული პრობლემების სწრაფი გადაჭრის გზები.

აღსანიშნავია, რომ 2013 წელს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების გადაცემის დეპარტამენტმა, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, კომპეტენციის ფარგლებში, შექმნა გამომგონებლების, საწარმოების, საერთაშორისო ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრებისა და შესაბამისი პორტალების მონაცემთა ბაზები, რომლის საშუალებითაც გაზარდა წვდომა რო-

agreements, rules of receiving royalties and in case of breach of the rights provision of the information on measures provided by legislation.

On February 5-7, 2013, based on business needs, with support of GIZ, TTCG was given the possibility to hold a workshop on *Market-driven Innovation Management* led by a trainer from Leipzig University and International SEPT Program. Besides the training for representatives of 18 Georgian companies including small and medium-sized enterprises (SMEs) and large enterprises, individual meetings were also held where has been discussed success of each company and challenges that they face. During the meetings, companies had a chance to learn directly from the invited professors the new methodologies and approaches to solve the problem in timely manner.




ტრეინინგი „ბაზარზე ორიენტირებული ინოვაციური მართვა",
"SEPT"-ის პროგრამების პროფესორი ალფრედო სულვეზა
Workshop on Market-driven Innovation Management led by a trainer MBA Alfredo Sulveza from SEPT Program

Notably, in 2013 TTCG within its competence and with the aim of providing access to technologies for the small and medium enterprises created inventors, enterprise and international technology transfer centers and relevant databases for portals, due to which access to local and international technologies and knowledge was raised.

In addition, TTCG was actively involved in promoting City Hall program "Local Business Development Support Program" (cheap loan

გორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ტექნოლოგიებთან და ცოდნასთან.

გარდა ამისა, წლის მანძილზე საქპატენტის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების გადაცემის დეპარტამენტი აქტიურად იყო ჩაბმული მერიის პროგრამის „ადგილობრივი ბიზნესის ხელშეწყობა" (იაფი სესხის პროგრამა) პოპულარიზაციაში და წარმატებით დააკავშირა დეპარტამენტის მონაცემთა ბაზაში არსებული კომპანიები. პროგრამით ისარგებლეს და მოიპოვეს დაბალპროცენტიანი სესხები ინოვაციური კონკურსის როგორც გამარჯვებულმა, ასევე, მონაწილე კომპანიებმა, როგორებიცაა შპს „ბიოპროდუქტ კომპანია" და შპს „ჯიტრონიკი".

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების გადაცემის დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) თხილის გადამამუშავებელი კომპანიებისათვის ორგანიზებულ სწავლება-ინსტრუქტირების პროგრამის „ექსპორტის ხარისხის ამაღლება" განხორციელებაში. კერძოდ, დეპარტამენტმა უზრუნველყო კომპანიების შესარჩევი პროცესი, რეგიონებში კი ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრები, სადაც ისაუბრა სწავლების უპირატესობებზე და გააცნო კომპანიებს მათი საქმიანობის სფეროში არსებული ქართული გამოგონებები. კონკურსის შედეგად, შეირჩა 5 გამარჯვებული კომპანია, რომლებიც, სწავლების დამთავრების შემდეგ, დააკავშირეს გერმანულ თხილის შემსყიდველ კომპანიებს.

2013 წლის მანძილზე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გადაცემის დეპარტამენტი აქტიურად იყო დაკავებული გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) დაფინანსებით ჩატარებულ ინოვაციურ კონკურსში "INNO|GEORGIA" გამარჯვებული კომპანიების პროექტების განხორციელების პროცესში. აღნიშნული კონკურსის საფუძველზე, 2013 წლის დეკემბერში წარმატებით დასრულდა 5 პროექტი, რომლებიც მოიცავდა ბიზნესის სხვადასხვა სფეროს, როგორც სოფლის მეურნეობასა და მსუბუქ მრეწველობას, ისე კვების მრეწველობას. ესენია:

კომპანია „ათინათის" მიერ შემუშავებუ-

program) and managed to connect companies listed in the department databases quite successfully. Center used this possibility to support the INNO|GEORGIA participants and distributed information among them. Consequently, Gtronik Ltd., participant of INNO|GEORGIA and Bioproduct Company, INN0|GEORGIA winner, were encouraged to take part in the program to benefit from cheap loans.

Additionally, TTCG was involved in a project "Support on activities to enhance exporter

Companies' product quality in hazelnut value chain in Georgia (Exporters' Coaching)" supported by GIZ. More precisely, TTCG administered the selection process for the project, conducted informative meetings in the regions where they explained advantages of the teaching program and introduced Georgian inventions in this field. Based on the competition, 5 winner companies were revealed, and after completing the studies, they were connected with German hazelnut purchasing companies.

In 2013, TTCG was actively involved in project implementation of winner companies of innovation competition "INNO/GEORGIA" sponsored by GIZ. Five projects revealed by the competition which covered different business sectors, like agriculture, manufacturing and food production, were successfully completed in December 2013.

ATINATI Ltd – Company evolved a concept for a new type of cottage cheese, which has higher level of calcium comparing to the other similar products and is very useful for kids and elderly people especially. Implementation of the new technology enabled the company to broaden product assortment and to improve the quality of the product as a result of newly bought equipment. While becoming more competitive, ATINATI Ltd expects to get 20% of market share for the next 5 years.

ლია ახალი ტიპის ხაჭო, რომელიც განსაკუთრებით სასარგებლოა ბავშვებისა და მოხუცებისათვის, ვინაიდან შეიცავს კალციუმის უფრო მეტ რაოდენობას, ვიდრე სხვა მსგავსი პროდუქტები. ხაჭოს წარმოების ახალი ტექნოლოგიის დანერგვამ საწარმოს მისცა საშუალება გაეფართოებინა პროდუქციის ასორტიმენტი, ახალი მოწყობილობების შეძენის საფუძველზე გაეუმჯობესებინა წარმოებული პროდუქციის ხარისხი. კომპანია „ათინათი" კონკურენტუნარიანობის გაზრდის საფუძველზე ვარაუდობს, მომდევნო 5 წლის განმავლობაში საბაზრო წილის 20%-ის მოპოვებას.

კომპანიამ „აბსო" სასათბურე პირობებში ეკოლოგიურად სუფთა კიტრისა და პომიდვრის წარმოებისთვის შეიძინა სპეციალური სასათბურე 5 შრიანი მინა, რომელიც ამცირებს შხამ-ქიმიკატების გამოყენებას 80%-ით, ზოგ შემთხვევაში კი საერთოდ გამორიცხავს მათ გამოყენებას, რაც მნიშვნელოვანია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის საწარმოებლად.

შპს „ბიოპროდუქტ კომპანია" აწარმოებს ასკილის წვენს. კომპანიამ სრულად შეცვალა წარმოების ხაზი და შეიძინა ახალი ტექნოლოგია წვენის შუშის ბოთლებში ჩამოსასხმელად, რაც პირველი ნაბიჯი იყო „ბიო" პროდუქტის წარმოების სერტიფიკატის მისაღებად. გარდა ამისა, დეპარტამენტის დახმარებით, კომპანიამ მოიპოვა მერიის პროექტის დაბალ პროცენტიანი სესხი და შესძლო მთლიანი საწარმოს განახლება და გარემონტება. კომპანიამ მიიღო მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენებში, სადაც დაამყარა ახალი კონტაქტები პოტენციურ მყიდველებთან და განახორციელა პროდუქტის ექსპორტი ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ინგლისი და იაპონია.

კომპანიამ „სიმბოლ სტუდიო" კი ინოვაციური კონკურსის "INNOIGEORGIA"-ს ფარგლებში შეიმუშავა ქვევრის საწმენდი იმერსიული დანადგარი, რითაც შესაზძლებელია ქვევრის სწრაფად და ხარისხიანად წმენდა. კერძოდ, აღნიშნული დანადგარი 45 წუთში წმენდს საშუალო ზომის ქვევრს ისე, რომ დამატებით აღარ საჭიროებს



ახალი ტიპის ხაჭოს წარმოება (შპს „ათინათი")
Production of new type of cottages cheese ("Atinanti" Ltd)

In order to produce ecologically clean tomatoes and cucumbers ABSO Ltd bought five-layered special type of polycarbonate glass for greenhouse, which reduces the usage of fertilizers by 80 % and sometimes completely refuses it, which is very important for producing ecologically clean products.

BIOPRODUCT COMPANY Ltd produces rose hip juice. The company changed its production line and bought new technologies for pouring juice in PET bottles, which was the first step towards receiving BIO product production certificate. With the aid of TTCG, the company received cheap loan within the City Hall project and managed to renovate and repair the whole factory. The company participated in many international exhibitions, where it formed business relations with potential buyers and exported the product in foreign countries like United Kingdom and Japan.

Within "INNOIGEORGIA" innovation competition SYMBOL STUDIO Ltd created innovative Georgian Qvevry cleaning immersive device which makes it possible to clean itin a timely and effective manner. Precisely, the device cleans a medium size Qvevry in 45 minutes without using additional cleansing products, like lime. According to the laboratory results, this type of cleansing methodology has also antiseptic effect, which is important for cleaning Qvevry. It is worth

საწმენდ საშუალებებად ჯირის გამოყენება. ჩატარებულმა ლაბორატორიულმა კვლევებმა აჩვენა, რომ აღნიშნულ წმენდის მეთოდს აქვს, ასევე, ანტისეპტიკური ეფექტიც, რაც მნიშვნელოვანია ქვევრის წმენდისთვის. აღსანიშნავია, რომ ამ გამოგონებაზე 2013 წელს კომპანიამ მიიღო საერთაშორისო პატენტი (რეგ. № PCT/GE2013/000001).

მე-5 გამარჯვებული პროექტი ეკუთვნის კომპანია „უნისტილს", რომელმაც ინოვაციური კონკურსის "INNO|GEORGIA" ფარგლებში, შეიძინა მულტი-ფუნქციური ავტომატური საქარგი მანქანა, რამაც საშუალება მისცა ქარგვა განეხორციელებინა მყარ მასალებზეც (ტყავი, კეპი, ფეხსაცმელი და სხვა.). აღნიშნული დანადგარით კომპანიამ გააფართოვა წარმოება და მომხმარებელს შესთავაზა უფრო მრავალფეროვანი პროდუქტი, რამაც ხელი შეუწყო კომპანიას 50%-ით გაეზარდა წარმოება, რაც მომავალში მისცემს ბაზრის 21%-ის დაკავების საშუალებას.

2013 წლის მანძილზე საქპატენტის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების გადაცემის დეპარტამენტი აქტიურად იყო ჩაბმული საქართველოში ინოვაციური პოლიტიკის შემუშავების საკითხებში და ამ მიზნით მონაწილეობდა სხვადასხვა სამთავრობო ჯგუფის სამუშაო შეხვედრებში. საქპატენტის ინიციატივით შედგა შეხვედრა ინოვაციური პოლიტიკის შემუშავებისთვის მრჩეველთა საბჭოს შექმნის თაობაზე, რომელსაც ესწრებოდნენ სხვადასხვა სამინისტროების წარმომადგენლები, კერძოდ: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და მთავრობის კანცელარია. აღნიშნულ შეხვედრაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 2014 წელსაც აქტიურად გაგრძელდეს მუშაობა ეროვნული ინოვაციური სისტემის შესაქმნელად, რაშიც დამატებით უნდა ჩაერთონ სხვა სამინისტროებიც.

mentioning, that regarding this invention the company received international patent in2013(Reg. N PCT/GE2013/000001).

The fifth winning project belongs to UNISTYLE Ltd, which bought universal eight-headed embroidery machine within "INNO|GEORGIA" innovation competition and thus became able to conduct embroidery on solid materials like (leather, cap, shoes etc). The company broadened the production and offered larger variety of products that contributed towards increasing production by 50 %. In the future this will make it possible to get bigger share of the market, up to 21%.

During 2013, TTCG was actively involved in formation of innovation policy of Georgia and for this reason participated in many governmental working group meetings. With the initiative of Sakpatenti, meeting regarding creation of council for innovation policy formation was conducted. Representatives of different ministries-Ministry of Agriculture of Georgia, Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, Ministry of Education and Science of Georgia and State Chancellery, attended the meeting.

It was decided on the meeting to continue active works in 2014 towards creation of a national innovation system and to involve more Ministries in this process.



ინდივიდუალური შეხვედრა ტრეინინგზე „ბაზარზე ორიენტირებული ინოვაციური მართვა"
Personal coaching session – Market-driven Innovation Management

# სასაქონლო ნიშნები

საქართველოში სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მოპოვება ხორციელდება ორი გზით – სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, განაცხადის წარდგენით უშუალოდ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტში" (ეროვნული პროცედურა) და ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის შეთანხმების ოქმის თანახმად, სასაქონლო ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე (საერთაშორისო პროცედურა).

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე ეროვნული პროცედურით განაცხადების მიღება საქპატენტმა დაიწყო 1992 წლის პირველი მაისიდან. 2014 წლის პირველი იანვრისათვის, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოთხოვნით, ეროვნული პროცედურით საქპატენტში სულ შემოვიდა 31138 განაცხადი, აქედან დარეგისტრირდა 24429. ამ თარიღისათვის ძალაში იყო 18200 სასაქონლო ნიშანი. „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული რეგისტრაციის შემდგომი 10 წლით ვადის გაგრძელების უფლება არ იყო გამოყენებული 6250 ეროვნულ სასაქონლო ნიშანზე.

აღსანიშნავია, რომ 2013 წლის დეკემბრიდან საქპატენტში განაცხადების წარდგენა ხორციელდება ელექტრონული წესით.

1998 წლის 20 აგვისტოს საქართველო მიუერთდა სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის ოქმს, ხოლო ამავე წლის 17 სექტემბერს საქპატენტმა მიიღო პირველი შეტყობინება საერთაშორისო რეგისტრაციის საქართველოზე გავრცელების შესახებ. 1998-2013 წლების მონაცემებით ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის ოქმით საქართველოზე გავრცელდა 43594 ნიშანი, რომელთაგან დაცვა მიენიჭა 37034 ნიშანს.

# TRADEMARKS

In Georgia exclusive right in trademarks are acquired in two ways - under the Trademark Law of Georgia,by filing an application directly with the National Intellectual Property Center "Sakpatenti" (national procedure) and on the basis of the international registration under the Protocol Relating to the Madrid Agreement Concerning the International Registration of Marks (international procedure).

Sakpatenti began receiving applications with the national procedure in May 1992. By January 1, 2014, in total 31138 applications for trademark registration under the national procedure were filed with Sakpatenti. Of these 24429 were registered, andby this date 18200 trademarks were valid. The right to extend the term of validity of a registration for subsequent 10 years, provided for by the Trademark Law of Georgia, was not used for 6250 national trademarks.

It is noteworthy that from December 2013 electronic filing of applications began at Sakpatenti.

On August 20, 1998 Georgia acceded to the Protocol Relating to the Madrid Agreement Concerning the International Registration of Marks, and on September 17 of the same year Sakpatenti received the first notification on extension of an international registration to Georgia. According to the data of 1998-2013, under the Madrid Protocol, 43594 trademarks were extended to Georgia, of which protection was granted to

2014 წლის პირველი იანვრისათვის კი ძალაში იყო 32978 საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი. საქართველოზე გავრცელებული და დაცული 4388 საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის ზოგიერთმა მფლობელმა აღარ მოისურვა დაცვის მომდევნო ათი წლით გაგრძელება, ზოგს კი გაუუქმდა საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია სხვადასხვა მიზეზებით (მფლობელის მოთხოვნით, სასამართლოს გადაწყვეტილებით და სხვ.).

2014 წლის პირველი იანვრისათვის ეროვნული და საერთაშორისო პროცედურით დაცული ძალაში მყოფი ნიშნების საერთო რაოდენობამ შეადგინა 51692.

2013 წელს როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო პროცედურით საქპატენტში განსახილველად შემოვიდა 5104 (12%-ით მეტი ვიდრე გასულ წელს) განაცხადი, აქედან საერთაშორისო პროცედურით – 3457 (6%-ით მეტი 2012 წელთან შედარებით), ხოლო ეროვნული პროცედურით – 1647 ნიშანი, რაც 17%-ით მეტია გასულ წელთან შედარებით.

2009-2013 წლებში მადრიდის ოქმით მიღებული შეტყობინებებისა და საქპატენტში სასაქონლო ნიშნების დაცვის მოთხოვნით მიღებული განაცხადების ქვეყნების მიხედვით განაწილების დინამიკის საილუსტრაციოდ შეირჩა ის ქვეყნები, საიდანაც შემოვიდა განაცხადების საერთო რაოდენობის 4%-ზე მეტი. როგორც მონაცემებიდან ჩანს, 2013 წელს ყველაზე მეტი განაცხადი (605) ეკუთვნის აშშ-ს განმცხადებლებს. მეორე ადგილზე, ამჯერად, აღმოჩნდნენ განმცხადებლები თურქეთიდან (367განაცხადი). შეიმჩნევა ეროვნული პროცედურით მიღებული განაცხადებისა და საქართველოზე გავრცელების მოთხოვნით მიღებული საერთაშორისო რეგისტრაციების რაოდენობის ზრდა ისეთი ქვეყნებიდან, როგორიცაა: შვეიცარია, ჩინეთი, უნგრეთი და იტალია.

ეროვნული და საერთაშორისო პროცედურით საქპატენტში შემოსული განაცხადების, საქონლისა და მომსახურების ნიცის საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით, კლასების განაწილების დინამიკის საილუსტრაციოდ შეირჩა ის კლასე-

37034 marks. By January 1, 2014, 32978 international trademarks were valid. Some owners of the 4388 international trademarks extended to and protected in Georgia did not wish to extend the term of protection for the subsequent 10 years, and for some of them the registration was canceled due to various reasons (on request of owners, court decision, etc.).

By January 1, 2014, the total number of valid marks protected under the national and the international procedure was 51692.

In 2013, 5104 applications were filed with Sakpatenti under the national and international procedures (12% more than in the previous year), of these 3457 applications were filed under the international procedure (6% more as compared with the year 2012), and 1647 trademarks – under the national procedure, which is 17% more than in the previous year.

In order to illustrate the dynamics of breakdown according to countries of notifications under the Madrid Protocol and applications received by Sakpatenti with the request for the protection of trademarks in 2009-2013, the data of the countries were selected the number of whose trademarks was more than 4% of the total amount. As is obvious from the data, in 2013 the largest quantity of applications (605) were filed by US applicants. Applicants from turkey occupied the second position – 367 applications. The number of applications filed under the national procedure and international registrations requesting extension to Georgia increased such countries as Switzerland, China, Hungary and Italy.

To illustrate the dynamics of breakdown of applications filed with Sakpatenti under

## 2009-2013 წლებში შემოტანილი განაცხადებისა და საქართველოზე დაცვის გავრცელების მოთხოვნით მიღებული საერთაშორისო რეგისტრაციების რაოდენობა

## NUMBER OF FILED APPLICATIONS AND INTERNATIONAL REGISTRATIONS REQUESTING EXTENSION OF PROTECTION TO GEORGIA RECEIVED IN 2009-2013

| | | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეროვნული პროცედურით | | 1220 | 1381 | 1590 | 1413 | 1647 | NATIONAL PROCEDURE | |
| მათ შორის | ადგილობრივი | 623 | 675 | 838 | 754 | 805 | LOCAL | AMONG THEM |
| | უცხოური | 597 | 706 | 752 | 659 | 842 | FOREIGN | |
| საერთაშორისო პროცედურით | | 3212 | 2940 | 3273 | 3151 | 3457 | INTERNATIONAL PROCEDURE | |
| სულ | | 4432 | 4321 | 4863 | 4564 | 5104 | TOTAL | |




## 2009-2013 წლებში შემოტანილი განაცხადებისა და საქართველოზე დაცვის გავრცელების მოთხოვნით მიღებული საერთაშორისო რეგისტრაციების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით

## NUMBER OF FILED APPLICATIONS AND INTERNATIONAL REGISTRATIONS REQUESTING EXTENSION OF PROTECTION TO GEORGIA RECEIVED IN 2009-2013 ACCORDING TO COUNTRIES

| | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 624 | 675 | 843 | 754 | 805 | GE (GEORGIA) |
| გერმანია | 514 | 393 | 428 | 356 | 305 | DE (GERMANY) |
| აშშ | 309 | 381 | 481 | 404 | 605 | US (USA) |
| შვეიცარია | 404 | 374 | 303 | 299 | 320 | CH (SWITZERLAND) |
| რუსეთი | 283 | 251 | 261 | 345 | 313 | RU (RUSSIA) |
| საფრანგეთი | 251 | 222 | 229 | 196 | 168 | FR (FRANCE) |
| იტალია | 221 | 215 | 210 | 221 | 229 | IT (ITALY) |
| თურქეთი | 185 | 234 | 248 | 173 | 367 | TR (TURKEY) |
| ჩინეთი | 142 | 196 | 218 | 176 | 221 | CN (CHINA) |
| უნგრეთი | 159 | 73 | 145 | 174 | 189 | HU (HUNGARY) |
| დანარჩენი | 1340 | 1307 | 1497 | 1466 | 1582 | OTHER |
| სულ | 4432 | 4321 | 4863 | 4564 | 5104 | TOTAL |



ბი, რომლებზეც დაცვის გავრცელების მოთხოვნით 2009-2013 წლებში შემოსული სასაქონლო ნიშნების საშუალო რაოდენობა არ იყო საერთო რაოდენობის 5%-ზე ნაკლები.

გამოვლენილი დაინტერესების შესაბამისად, საქონლისა და მომსახურების კლასები ასე განაწილდა: მე-5 კლასი (1330 ნიშანი – 28%), 35-ე კლასი (822 ნიშანი – 17%), მე-9 კლასი (569 ნიშანი – 12 %), მე-3 კლასი (537 ნიშანი – 11%), 30-ე კლასი (474 ნიშანი – 10%) და ა.შ.

ადგილობრივი განაცხადების ანალოგიური ანალიზი გვიჩვენებს, რომ უცხოელ განმცხადებელთა მსგავსად, 2013 წელს კვლავ შენარჩუნდა ქართველ მეწარმეთა მზარდი ინტერესი მე-5 კლასის საქონლის (ფარმაცევტული, ვეტერინარული, ჰიგიენური ნაწარმი და ა.შ.) მიმართ. გაიზარდა განაცხადების რაოდენობა 35-ე კლასის მომსახურების მიმართაც (რეკლამა; მართვა საქმიან სფეროში; ადმინისტრირება საქმიან სფეროში; საოფისე სამსახური). მნიშვნელოვანია შემოსული განაცხადების რაოდენობის ზრდა 29-ე კლასის (ხორცი, თევზი, ფრინველი და ნანადირევი; ხორცის ექსტრაქტები; დაკონსერვებული, გამხმარი და თბურად დამუშავებული ბოსტნეული და ხილი; ჟელე, მურაბა, კომპოტი; კვერცხი, რძე და რძის პროდუქტები; ზეთები და საკვები ცხიმები.) საქონლისათვის, ასევე, 43-ე კლასის მომსახურებისათვის (საკვები პროდუქტებითა და სასმელებით უზრუნველყოფა; დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა). გარდა ამისა, გარკვეული ინტერესია შენარჩუნებული 30-ე კლასის საქონლის (ყავა, ჩაი, კაკაო, შაქარი, ბრინჯი, ტაპიოკა (მანიოკა), საგო, ყავის შემცვლელები; ფქვილი და მარცვლეულის პროდუქტი, პურ-ფუნთუშეული, საკონდიტრო ნაწარმი, ნაყინი; თაფლი, ბადაგის ვაჭინი; საფუარი, საცხობი ფხვნილები; მარილი, მდოგვი; ძმარი, საკაზმები; სანელებლები; საკვები ყინული.), 33-ე კლასის საქონლის (ალკოჰოლიანი სასმელი ლუდის გარდა) და 36-ე კლასის (დაზღვევა; ფინანსებთან დაკავშირებული საქმიანობა; ფულად-საკრედიტო ოპერაციები; უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები) მომსახურების მიმართაც.

the national and international procedures according to classes of the International Nice Classification of Goods and Services, those classes were selected the number of trademarks requesting protection to which, averaged for 2009-2013, was no less than 5% of the total amount.

According to the shown interest, classes of goods and services were as follows: Class 5 (1330 marks – 28%), Class 35 (822 marks – 17%), Class 9 (569 marks – 12%), Class 3 (537 marks – 11 %), Class 30 (474 marks – 10%), etc.

As similar analysis of local applications demonstrates, like foreign applicants, in 2013 increasing interest of Georgian entrepreneurs was observable in goods belonging to Class 5 (pharmaceutical, veterinary and sanitary preparations, etc.). The number of applications related to services of Class 35 (Advertising; business management; business administration; office functions) also increased. The number of applications filed for goods belonging to Class 29 (Meat, fish, poultry and game; meat extracts; preserved, dried and cooked fruits andvegetables; jellies, jams, compotes; eggs, milk and milk products; edible oils and fats) as well as services of Class 43 (Services for providing food and drink; temporary accommodation) increased considerably. Along with this, interest remained in goods of Class 30 (Coffee, tea, cocoa, sugar, rice, tapioca, sago, artificial coffee; flour and preparationsmade from cereals, bread, pastry and confectionery, ices; honey, treacle; yeast, baking powder; salt, mustard; vinegar, sauces (condiments); spices; ice), Class 33 (alcoholic beverages (except bears)) and goods of Class 36 (Insurance; financial affairs; monetary affairs; real estate

## 2009-2013 წლებში შემოტანილი განაცხადებისა და საქართველოზე დაცვის გავრცელების მოთხოვნით მიღებული საერთაშორისო რეგისტრაციების რაოდენობა კლასების მიხედვით

## NUMBER OF FILED APPLICATIONS AND INTERNATIONAL REGISTRATIONS REQUESTING EXTENSION OF PROTECTION TO GEORGIA RECEIVED BY SAKPATENTI IN 2009-2013 ACCORDING TO CLASSES

| კლასი CLASS | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 |
|---|---|---|---|---|---|
| 5 | 1464 | 1243 | 1388 | 1194 | 1330 |
| 35 | 614 | 540 | 650 | 685 | 822 |
| 9 | 499 | 445 | 581 | 522 | 569 |
| 3 | 490 | 421 | 487 | 444 | 537 |
| 30 | 446 | 462 | 490 | 420 | 474 |
| 25 | 377 | 365 | 416 | 433 | 416 |
| 16 | 330 | 293 | 304 | 262 | 311 |
| 41 | 293 | 205 | 312 | 336 | 318 |
| 42 | 282 | 236 | 243 | 290 | 314 |
| 29 | 303 | 281 | 267 | 276 | 319 |
| 32 | 260 | 261 | 275 | 294 | 280 |
| 33 | 226 | 233 | 254 | 268 | 381 |




2013 წელს, საქონლისა და მომსახურების კლასების მიმართ ადგილობრივ განმცხადებელთა მხრიდან გამოვლენილი დაინტერესების მიხედვით პირველ და მეორე ადგილზეა 35-ე (228 განაცხადი – 28%) და მე-5 (167განაცხადი – 21%) კლასი, ხოლო სხვა კლასები ასეთი თანამიმდევრობით განლაგდა: 33-ე (103 განაცხადი – 13%), 43-ე (95 განაცხადი – 12%) და ა.შ.

affairs).

According to the interest shown by local applicants in goods and services, in 2013 the first and the second positions are occupied by Class 35 (228 applications – 28%) and Class 5 (167 applications – 21%), whereas the sequence of other classes is as follows: 33 (103 applications – 15%), 43 (95

## 2009-2013 წლებში შემოტანილი ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა კლასების მიხედვით

## NUMBER OF LOCAL APPLICATIONS FILED IN 2009-2013 ACCORDING TO CLASSES

| კლასი CLASS | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 |
|---|---|---|---|---|---|
| 5 | 234 | 156 | 282 | 144 | 167 |
| 35 | 108 | 156 | 144 | 150 | 228 |
| 30 | 78 | 96 | 96 | 78 | 87 |
| 33 | 57 | 84 | 73 | 113 | 103 |
| 43 | 62 | 45 | 94 | 58 | 95 |
| 16 | 60 | 72 | 43 | 107 | 55 |
| 36 | 35 | 65 | 50 | 54 | 57 |
| 32 | 59 | 50 | 72 | 60 | 66 |
| 41 | 47 | 46 | 67 | 59 | 52 |
| 29 | 58 | 64 | 52 | 37 | 71 |
| 25 | 34 | 52 | 34 | 32 | 34 |




## 2013 წელს შემოტანილი ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა საქართველოს რეგიონების მიხედვით

## NUMBER OF LOCAL APPLICATIONS FILED IN 2013 ACCORDING TO REGIONS OF GEORGIA

| რეგიონი | განაცხადების რაოდენობა NUMBER OF APPLICATIONS | REGION |
|---|---|---|
| თბილისი | 619 | TBILISI |
| ბათუმი | 43 | BATUMI |
| მცხეთა | 26 | MTSKHETA |
| თელავი | 25 | TELAVI |
| გურჯაანი | 15 | GURDJAANI |
| რუსთავი | 12 | RUSTAVI |
| ყვარელი | 11 | KVARELI |
| ბაღდათი | 8 | BAGHDATI |
| ფოთი | 7 | POTI |
| დმანისი | 5 | DMANISI |
| ქუთაისი | 5 | KUTAISI |

საქართველოს ქალაქებიდან და რაიონებიდან 2013 წელს საქპატენტში შემოტანილი ადგილობრივი განაცხადების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ისევ ლიდერობს თბილისი (619 განაცხადი), მომდევნო ხუთეულში კი მოხვდა: ბათუმი (43), მცხეთა (26), თელავი (25), გურჯაანი (15) და რუსთავი (12).

აღსანიშნავია, რომ სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონში 2010 წლის 12 ივლისიდან შეტანილი ცვლილება საშუალებას აძლევს განმცხადებელს მოითხოვოს განაცხადის განხილვა და ნიშნის რეგისტრაცია დაჩქარებული პროცედურით, რაც ამცირებს ვადებს 10 სამუშაო დღემდე (კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ, მ. 151). 2013 წელს დაჩქარებული პროცედურით სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე შემოვიდა 253 განაცხადი, აქედან დარეგისტრირდა 202 ნიშანი, უარი ეთქვა რეგისტრაციაზე 35 ნიშანს, ხოლო საფასურის გადაუხდელობის გამო საქმისწარმოება შეწყდა 23 განაცხადზე.

2013 წლის მონაცემებით, სასაქონლო ნიშნების რეესტრში დარეგისტრირდა 1177 სასაქონლო ნიშანი, აქედან 479 ადგილობრივი, ხოლო 698 უცხოელი მფლობელის სახელზე. საერთაშორისო პროცედურით დაცვა მიენიჭა საქართველოზე გავრცელებულ 2975 ნიშანს.

2013 წელს რეესტრში შეტანილი და საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე საქართველოში დაცული ნიშნების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით ასე გადანაწილდა: აშშ – 401 (10%), გერმანია – 347 (8%), შვეიცარია – 311 (7%), რუსეთი – 292 (7%), იტალია – 220 (5%), საფრანგეთი – 208 (5%) და ა.შ.

applications – 12%), etc.

The analysis of local applications filed with Sakpatenti in 2013 from cities and districts of Georgia shows that Tbilisi is again in the lead (619 applications). The following five positions are: Batumi (43), Mtskheta (26), Batumi (27), Telavi (25), Gurjaani (15) and Rustavi (12).

It is noteworthy that the amendment to the Trademark Law of Georgia, enforced n force from July 12, 2010, allows an applicant to request application processing and trademark registration by the accelerated procedure, which reduces the above-mentioned terms to 10 working days (Trademark Law, Article 151). In 2013, 253 applications were filed for registration under the accelerated procedure, of these, 292 marks were registered, 35 marks were refused registration and for 23 applications proceedings were terminated due to non-payment.

According to data of 2013, 1177 trademarks were registered in the Register of Trademarks, of these 479 in the name of local owners and 698 in the name of foreign owners. Under the international procedure protection was granted to 2975 marks extended to Georgia.

The number of trademarks entered in the Register and protected in Georgia on the basis of international registration in 2013, according to countries is the following: USA – 401 (10%), Germany – 347 (8%), Switzerland – 311 (7%), Russia – 292 (7%), Italy

## 2009-2013 რეესტრში შეტანილი და საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე საქართველოში დაცული ნიშნების რაოდენობა

## NUMBER OF TRADEMARKS ENTERED IN THE REGISTER AND PROTECTED IN GEORGIA ON THE BASIS OF INTERNATIONAL REGISTRATION IN 2009-2013

| | | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეროვნული პროცედურა | | 1107 | 916 | 1136 | 1040 | 1177 | NATIONAL PROCEDURE | |
| მათ შორის | ადგილობრივი | 409 | 412 | 504 | 488 | 479 | LOCAL | AMONG THEM |
| | უცხოური | 698 | 504 | 632 | 552 | 698 | FOREIGN | |
| საერთაშორისო პროცედურა | | 4088 | 3416 | 3009 | 2476 | 2975 | INTERNATIONAL PROCEDURE | |
| სულ | | 5195 | 4332 | 4145 | 3516 | 4152 | TOTAL | |




## 2009-2013 წლებში რეესტრში შეტანილი და საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე საქართველოში დაცული ნიშნების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით

## NUMBER OF TRADEMARKS ENTERED IN THE REGISTER AND PROTECTED IN GEORGIA ON THE BASIS OF INTERNATIONAL REGISTRATION IN 2009-2013 ACCORDING TO COUNTRIES

| | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 640 | 563 | 402 | 328 | 347 | DE (GERMANY) |
| საქართველო | 409 | 412 | 504 | 489 | 479 | GE (GEORGIA) |
| აშშ | 483 | 326 | 356 | 381 | 401 | US (USA) |
| შვეიცარია | 408 | 386 | 397 | 237 | 311 | CH (SWITZERLAND) |
| რუსეთი | 347 | 270 | 246 | 209 | 292 | RU (RUSSIA) |
| საფრანგეთი | 297 | 256 | 240 | 175 | 208 | FR (FRANCE) |
| იტალია | 301 | 240 | 202 | 150 | 220 | IT (ITALY) |
| თურქეთი | 204 | 190 | 234 | 186 | 168 | TR (TURKEY) |
| ჩინეთი | 224 | 158 | 192 | 165 | 174 | CN (CHINA) |
| დანარჩენი | 1882 | 1531 | 1372 | 1196 | 1552 | OTHER |
| სულ | 5195 | 4332 | 4145 | 3516 | 4152 | TOTAL |



ეროვნული და საერთაშორისო პროცედურებით საქპატენტში დაცული ნიშნები საქონლისა და მომსახურების ნიცის საერთაშორისო კლასიფიკაციის კლასების მიხედვით განაწილების დინამიკის საილუსტრაციოდ შეირჩა ის კლასები, რომლებზეც 2009-2013 წლებში დაცული სასაქონლო ნიშნების საშუალო რაოდენობა საერთო რაოდენობის 5%-ზე ნაკლები არ იყო.

– 220 (5%), France – 208 (5%), etc.

To illustrate the dynamics of breakdown of applications protected at Sakpatenti under the national and international procedures according to classes of the International Nice Classification of Goods and Services, those classes were selected the number of trademarks requesting protection to which, averaged for 2009-2013, was no less than 5%

### 2009-2013 წლებში რეესტრში შეტანილი და საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე საქართველოში დაცული ნიშნების რაოდენობა კლასების მიხედვით

### NUMBER OF TRADEMARKS ENTERED IN THE REGISTER AND PROTECTED IN GEORGIA ON THE BASIS OF INTERNATIONAL REGISTRATION IN 2009-2013 ACCORDING TO CLASSES

| კლასი CLASS | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 |
|---|---|---|---|---|---|
| 5 | 1427 | 1376 | 1213 | 934 | 1106 |
| 35 | 759 | 622 | 506 | 515 | 573 |
| 9 | 726 | 538 | 441 | 434 | 483 |
| 3 | 596 | 500 | 408 | 316 | 424 |
| 25 | 609 | 391 | 364 | 293 | 403 |
| 30 | 511 | 400 | 455 | 349 | 362 |
| 16 | 454 | 323 | 276 | 224 | 243 |
| 42 | 411 | 310 | 228 | 207 | 233 |
| 41 | 423 | 291 | 209 | 235 | 293 |
| 29 | 312 | 287 | 278 | 203 | 228 |
| 32 | 328 | 245 | 248 | 197 | 235 |
| 33 | 286 | 216 | 211 | 186 | 217 |



როგორც გრაფიკებიდან ჩანს, საანგარიშო პერიოდისთვის ყველაზე მეტი ნიშანი დაცულია ნიცის საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-5 კლასის (ფარმაცევტული, ვეტერინარული და ჰიგიენური ნაწარმი და ა.შ.) საქონლისთვის –1106 (27%); შემდეგ 35-ე კლასის მომსახურებისთვის (რეკლამა; ბიზნესის მართვა) – 573 (14 %), შემდეგ მოყვება მე-9 კლასი(ელექტრული ხელსაწყოები, კომპიუტერული ტექნიკა და ა.შ.) – 483 (12 %), მე-3 კლასი (პარფიუმერია, კოსმეტიკა, სარეცხი საშუალებები) – 424 (10.2 %), 25-ე კლასი (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, თავსაბურავი) – 403 (9.7 %) და ა.შ.

of the total amount.

As is evident from the diagrams, the greatest amount of trademarks in the reporting period were protected for the goods belonging to Class 5 of the International Nice Classification (pharmaceutical, veterinary and sanitary preparations, etc.) – 1106 (27% of total number of protected trademarks); services of Class 35 (Advertising; business management) – 573 (14%), Class 9 (electrical apparatus, software, etc.) – 483 (12%), Class 3 (perfumery, cosmetics, substances for laundry use) – 424 (10.2%), Class 25 (cloth-

## 2009-2013 წლებში რეესტრში შეტანილი ადგილობრივი სასაქონლო ნიშნების რაოდენობა კლასების მიხედვით

## NUMBER OF LOCAL TRADEMARKS ENTERED IN THE REGISTER IN 2009-2013 ACCORDING TO CLASSES

| კლასი CLASS | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 |
|---|---|---|---|---|---|
| 5 | 126 | 177 | 141 | 96 | 89 |
| 35 | 125 | 66 | 119 | 116 | 106 |
| 30 | 51 | 53 | 58 | 57 | 43 |
| 33 | 45 | 41 | 41 | 49 | 56 |
| 43 | 67 | 31 | 32 | 40 | 42 |
| 36 | 64 | 15 | 57 | 48 | 30 |
| 41 | 57 | 25 | 35 | 40 | 41 |
| 32 | 44 | 32 | 43 | 34 | 66 |
| 29 | 37 | 36 | 48 | 36 | 34 |
| 16 | 47 | 37 | 42 | 27 | 33 |
| 25 | 37 | 14 | 46 | 14 | 33 |
| 9 | 24 | 17 | 22 | 37 | 19 |
| 37 | 51 | 9 | 14 | 14 | 13 |
| 44 | 48 | 12 | 20 | 17 | 18 |



საქონლისა და მომსახურების მიმართ ადგილობრივი ნიშნების რაოდენობით 2013 წელს პირველ და მეორე ადგილზეა 35-ე კლასი – 106 ნიშანი (22%) და მე-5 კლასი – 89 ნიშანი (19%). დანარჩენი კლასები კი ასეთი რიგითობით განლაგდა: 32-ე – 66 ნიშანი (14%), 33-ე – 56 ნიშანი (12%), 30-ე – 43 ნიშანი (9%) და ა. შ.

რაც შეეხება რეესტრში შეტანილი ადგილობრივი ნიშნების რაოდენობას, საქართველოს ქალაქების მიხედვით მათი განაწილება ასე გამოიყურება: თბილისი – 336 ნიშანი (70%), მცხეთა – 44 ნიშანი (9%), ბათუმი – 24 ნიშანი (5%), დმანისი – 19 ნიშანი (4%) და ა.შ.

ing, footwear, headgear) – 403 (9.7%), etc.

In 2013, according to the number of local marks with respect to goods and services, Class 35 – 106 marks (22%) and Class 5 – 89 marks (19%) occupy the first and the second positions. The sequence of other classes is as follows: 32– 66 marks – (14 %), 33 - 56 marks (12%), 30 - 43 marks (9%), etc.

As regards the number of local applications entered in the Register, their breakdown according to the cities of Georgia is the following: Tbilisi – 336 marks (70%), Mtskheta – 44 marks (9%), Batumi – 24 marks (5%), Dmanisi – 19 marks (4%), etc.

**რეესტრში შეტანილი ადგილობრივი ნიშნების რაოდენობა საქართველოს რეგიონების მიხედვით**

**NUMBER OF LOCAL TRADEMARKS ENTERED IN REGISTER ACCORDING TO REGIONS OF GEORGIA**

| რეგიონი | ნიშნების რაოდენობა NUMBER OF TRADEMARKS | REGION |
|---|---|---|
| თბილისი | 336 | TBILISI |
| მცხეთა | 44 | MTSKHETA |
| ბათუმი | 24 | BATUMI |
| დმანისი | 19 | DMANISI |
| თელავი | 10 | TELAVI |
| ზუგდიდი | 5 | ZUGDIDI |
| ფოთი | 5 | POTI |
| გურჯაანი | 4 | GURDJAANI |
| ბაღდათი | 3 | BAGDADI |
| ქუთაისი | 3 | KUTAISI |
| ყვარელი | 3 | KVARELI |

2003 წელს ეროვნული პროცედურით რეგისტრაციაში გატარდა 535 სასაქონლო ნიშანი, რომელთაც 2013 წელს უწევდათ რეგისტრაციის ვადის გაგრძელება შემდგომი 10 წლით. რეალურად მოქმედების ვადა გაუგრძელდა 294 სასაქონლო ნიშანს.

2013 წელს ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის ოქმით საქართველოდან საერთაშორისო ბიუროში გაიგზავნა სხვადასხვა იურიდიული პირების 35 განაცხადი. ერთი ნიშანი კი განხილვის პროცესშია.

მონაცემები მოქმედების ვადის ხანგრძლივობების მიხედვით ნიშნების რაოდენობის შესახებ ასახულია მომდევნო ცხრილში და შესაბამის დიაგრამაზე:

მოქმედების ვადა ეროვნული პროცედურით რეგისტრირებულ ნიშნებზე ათვლილია რეგისტრაციის თარიღიდან, ხოლო საერთაშორისო ნიშნებისთვის მათი საქართველოზე გავრცელების თარიღიდან.

In 2003, 535 trademarks were registered under the national procedure for which it was necessary to extend the term of validity of registration by a consecutive period of 10 years in 2013. In fact, the term of validity of 294 trademarks was extended.

In 2013, 35 applications of various legal entities were sent from Georgia to the International Bureau under the Protocol Relating to the Madrid Agreement Concerning the International Registration of Marks, one mark is in the process of consideration.

Data according to the duration of term of validity according to the number of trademarks are reflected in the table and diagram: term of validity of trademarks registered under the national procedure is counted form the registration date, whereas for international marks – from the date of their extension to Georgia.

**2013 წელს ძალაში მყოფი სასაქონლო ნიშნების რაოდენობა მოქმედების ხანგრძლივობის მიხედვით**

**NUMBER OF VALID TRADEMARKS IN 2013 ACCORDING TO YEARS OF VALIDITY**



# საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებები და გეოგრაფიული აღნიშვნები

# APPELLATIONS OF ORIGIN AND GEOGRAPHICAL INDICATIONS

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტში", ხორციელდება:

- ადგილწარმოშობის დასახელების და/ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია;
- რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენების უფლების მინიჭება;
- სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებების საფუძველზე, საქპატენტში რეგისტრირდება უცხო ქვეყნების საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებები და გეოგრაფიული აღნიშვნები.

At the National Intellectual Property Center of Georgia "Sakpatenti" following is carried out:

- Registration of an appellation of origin and/or geographical indication;
- Granting of the right of use of a registered appellation of origin and geographical indication;
- Registration of appellations of origin and geographical indications of foreign countries at Sakpatenti on the basis of an interstate agreement.

Along with this, it is possible to protect appellations of origin on the international level on the basis of the Lisbon Agreement for the Protection of Appellations of Origin




ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებები
Appellations of Origin of Georgian Wine

გარდა ამისა, შესაძლებელია ადგილწარმოშობის დასახელებების საერთაშორისო დონეზე დაცვა, რომელიც ხორციელდება „ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ“ ლისაბონის შეთანხმების საფუძველზე. საქართველო 2004 წლიდან არის ლისაბონის შეთანხმების მხარე.

აღსანიშნავია, რომ „ევროკავშირსა და საქართველოს შორის სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და საკვები პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის“ შესახებ შეთანხმების (01.04.2012წ.) ფარგლებში, ევროკავშირში დაცვის მინიჭების მიზნით, 2013 წელს დამატებით წარდგენილია 16 ქართული გეოგრაფიული აღნიშვნა, რომლებიც გამოქვეყნდა ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში 2013 წლის 22 მაისს. გასულ წელს ევროკავშირის მხრიდანაც გაფართოვდა დაცული გეოგრაფიული აღნიშვნების სია. კერძოდ, საქართველოში დაცვა მიენიჭა ევროკავშირის კიდევ 172 დასახელებას.

საქპატენტმა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან კონსულტაციების შედეგად ქართული ღვინის და მინერალური წყლების ადგილწარმოშობის დასახელებები დაარეგისტრირა ქვეყნის ფარგლებს გარეთ. კერძოდ, 2013 წელს წარმატებით დასრულდა 21 ქართული ღვინის და მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაცია ყაზახეთისა და ბელარუსიის რესპუბლიკებში. ასევე, 2013 წელს 6 ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელება წარმატებით დარეგისტრირდა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში. ქართული ადგილწარმოშობის დასახელებების რეგისტრაციის პროცესები მიმდინარეობს ჩინეთისა და რუსეთის საპატენტო უწყებებშიც.

2013 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში დარეგისტრირდა მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელება „ბორჯომი“ და ღვინის ადგილწარმოშო-

and their International Registration, a party to which is Georgia since 2004.

On the basis of the "Agreement between the European Union and Georgia on Protection of Geographical Indications of Agricultural Products and Foodstuffs"(01.04.2012), in the reporting year 16 Georgian geographical indications were submitted for the purpose of protection in the European Union, which were published in the Official Journal of the European Union on May 22. The EU also extended its list of protected geographical indications, namely, 172 more appellations of EU were granted protection in Georgia.

As a result of consultations with the Ministry of agriculture of Georgia, Sakpatenti protected appellations of origin of Georgian wines and mineral waters beyond the borders of Georgia. In particular, in 2013,21 Georgian appellations of origin were registered successfully in the Republics of Kazakhstan and Belarus. 6 appellations of origin of Georgian wines were also registered successfully in the Republic of Azerbaijan. Processes of registration of Georgian appellations of origin are under way in the patent offices of China and Russia as well.


United States of America
United States Patent and Trademark Office
BORJOMI
Reg. No. 4,388,194
Registered Aug. 20, 2013
CERTIFICATION MARK
PRINCIPAL REGISTER

აშშ-ში „ბორჯომის“ რეგისტრაციის მოწმობა
Certificate of registration of "Borjomi" in the USA

ბის დასახელება „კარდენახი". აღსანიშნა-ვია, რომ აშშ-ში სულ რეგისტრირებულია 15 ქართული ადგილწარმოშობის დასახ-ელება.

„ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვისა და მათი საერთაშორისო რე-გისტრაციის შესახებ" ლისაბონის შეთანხ-მების შესაბამისად, 2013 წელს საქარ-თველოზე გავრცელდა და დაცვა მიენიჭა 6 ადგილწარმოშობის დასახელებას.

2013 წელს გაიცა 77 მოწმობა ღვინის ადგილწარმოშობის დასახელების გამ-ოყენების უფლების შესახებ. ასეთი მოწ-მობა ერთი წლის ვადით მიიღო ღვინის მწარმოებელმა 9 კომპანიამ. ეს კომ-პანიებია: შპს „კახური ღვინის მარანი", შპს „ვაზიანი კომპანი", შპს „დუგლაძეე-ბის ღვინის კომპანია", შპს „მეღვინეობა ხარება", შპს „ალკოჰოლური სასმელების კომპანია ალავერდი", შპს „კორპორა-ცია ქართული ღვინო", შპს „კახური", შპს „ბადაგონი", შპს „შალვინო". ამასთან, ღვინის ადგილწარმოშობის დასახელე-ბების გამოყენების უფლება მიენიჭა სსიპ „ღვინის ეროვნულ სააგენტოს".

მინერალური წყლის ადგილწარ-მოშობის დასახელების „საირმე" გამო-ყენების უფლება ერთი წლის ვადით მიენიჭა მინერალური წყლის ჩამომსხ-მელ კომპანიას შპს „საირმე მინერალ ვოთერს", ხოლო მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელების „ბორ-ჯომი" გამოყენების უფლება გაიცა შპს „აი-დიეს ბორჯომი ბევერიჯიზ კომპანიზე". ასევე, მინერალური წყლის ადგილწარ-მოშობის დასახელების – „ნაბეღლავი", „ბორჯომი" და „საირმე" გამოყენების უფლება მიენიჭა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

In the reporting year the appellation of origin of Georgian mineral water "Borjomi" and the appellation of origin of wine "Kardenakhi" were registered in the United States of America. Noteworthy enough, in total 15 Georgian appellations of origin are registered in the USA.

In 2013, 6 appellations of origin were granted protection and extended to Geor-gia on the basis of the Lisbon Agreement for the Protection of Appellations of Origin and their International Registration.

In the reporting year, 77 certificates for the right of the use of appellations of origin of wines were granted. Such a certificate was awarded for a period of one year to 9 wine producing companies. These companies are:LLC "KakhuriGvinis-Marani", LLC "Vaziani Company", "Dug-ladze Wine Company" Ltd, LLC "Winery Khareba", LLC "Alcoholic Drinks Com-pany Alaverdi", LLC "Corporation Georgian Wine", LLC "Kakhuri", LLC"BADAGONI", Ltd "Shalvino".Along with this, the right to use the registered appellations of origin of wine was granted to LEPL "Georgian National Wine Agency".

The certificate confirming the right of use of appellation of origin of mineral water "Sairme" was issued for a period of one year to mineral water bottling com-pany – LTD "Sairme Mineral Waters", and right of use of appellation of origin of mineral water "Borjomi" was issued for a period of one year to LTD "IDS Borjomi Beverages Co.N.V". The right of use the appellations of origin of mineral water "Nabeghlavi", "Borjomi" and "Sairme" was issued to the Ministry of Agriculture of Georgia.

## 2009-2013 წლებში ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების რეგისტრაციის მოთხოვნით მიღებული განაცხადების რაოდენობა

## NUMBER OF APPLICATIONS RECEIVED ACCORDING TO YEARS IN 2009-2013 REQUESTING REGISTRATION OF APPELLATIONS OF ORIGIN AND GEOGRAPHICAL INDICATIONS

| | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ევროკავშირსა და საქართველოს შორის სოფლის მეურნეობისა და საკვები პროდუქტების დაცვის შესახებ" შეთანხმების საფუძველზე მიღებული განაცხადები | 517 | 0 | 0 | 3126 | 172 | APPLICATIONS RECEIVED ACCORDING TO THE "AGREEMENT BETWEEN THE EUROPEAN UNION AND GEORGIA ON PROTECTION OF GEOGRAPHICAL INDICATIONS OF AGRICULTURAL PRODUCTS AND FOODSTUFFS" |
| ლისაბონის ადგილწარმოშობის დასახელება | 4 | 6 | 3 | 6 | 7 | APPELLATIONS OF ORIGIN PROTECTED UNDER THE LISBON SYSTEM |
| გეოგრაფიული აღნიშვნა | 0 | 0 | 16 | 0 | 0 | GEOGRAPHICAL INDICATION |
| ადგილწარმოშობის დასახელება | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | APPELLATION OF ORIGIN |
| ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენების უფლება | 0 | 0 | 141 | 123 | 53 | RIGHT TO USE THE APPELLATIONS OF ORIGIN |




- „ევროკავშირსა და საქართველოს შორის სოფლის მეურნეობისა და საკვები პროდუქტების დაცვის შესახებ" შეთანხმების საფუძველზე მიღებული განაცხადები
  APPLICATIONS RECEIVED ACCORDING TO THE "AGREEMENT BETWEEN THE EUROPEAN UNION AND GEORGIA ON PROTECTION OF GEOGRAPHICAL INDICATIONS OF AGRICULTURAL PRODUCTS AND FOODSTUFFS"
- ლისაბონის ადგილწარმოშობის დასახელება
  APPELLATIONS OF ORIGIN PROTECTED UNDER THE LISBON SYSTEM
- გეოგრაფიული აღნიშვნა
  GEOGRAPHICAL INDICATION
- ადგილწარმოშობის დასახელება
  APPELLATION OF ORIGIN
- ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენების უფლება
  RIGHT TO USE THE APPELLATIONS OF ORIGIN

## 2009-2013 წლებში რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებები და გეოგრაფიული აღნიშვნები

## APPELLATIONS OF ORIGIN AND GEOGRAPHICAL INDICATIONS REGISTERED IN 2009-2013

| | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ადგილწარმოშობის დასახელება | 0 | 0 | 2 | 1 | 0 | APPELLATION OF ORIGIN |
| გეოგრაფიული აღნიშვნა | 0 | 0 | 2 | 14 | 0 | GEOGRAPHICAL INDICATION |
| ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენების უფლება | 0 | 0 | 143 | 115 | 82 | RIGHT OF USE OF APPELLATION OF ORIGIN |
| ლისაბონის შეთანხმების საფუძველზე რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელება | 0 | 7 | 10 | 5 | 6 | APPELLATIONS OF ORIGIN REGISTERED UNDER THE LISBON AGREEMENT |




- ლისაბონის ადგილწარმოშობის დასახელება
  APPELLATIONS OF ORIGIN PROTECTED UNDER THE LISBON SYSTEM
- გეოგრაფიული აღნიშვნა
  GEOGRAPHICAL INDICATION
- ადგილწარმოშობის დასახელება
  APPELLATION OF ORIGIN
- ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენების უფლება
  RIGHT TO USE THE APPELLATIONS OF ORIGIN

# საავტორო უფლებები

აღიარებულია, რომ ავტორს მის მიერ შექმნილ ნაწარმოებზე საავტორო უფლება წარმოეშვება ნაწარმოების შექმნის მომენტიდან. საავტორო უფლებების წარმოშობისათვის ნაწარმოებების დეპონირება არ არის სავალდებულო. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის ახალი რედაქცია (4.05.2010 № 3032) განსაზღვრავს, რომ დეპონირების დამადასტურებელ მოწმობაში მითითებული პირი მიიჩნევა ნაწარმოების ავტორად/საავტორო უფლების მფლობელად თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება. ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს შესაძლებლობა აქვს მოახდინოს ნაწარმოების ორიგინალის ან ასლის საქპატენტში დეპონირება იმ პირობით, რომ ის პასუხისმგებელია წარმოდგენილი დოკუმენტაციის სიზუსტესა და უტყუარობაზე და, ამასთანავე, ვალდებულია არ დაარღვიოს სხვა პირთა საავტორო ან სხვა უფლებები.

ნაწარმოების დეპონირებისას საქპატენტი გასცემს დეპონირების მოწმობას, რომელიც ადასტურებს მხოლოდ საქპატენტში წარდგენის თარიღისთვის ნაწარმოების ობიექტური ფორმით (ხელნაწერი ან ნაბეჭდი ტექსტი, ნოტები, ჩანაწერი და სხვ.) არსებობის ფაქტს.

2013 წლის მანძილზე, ავტორთა და უფლებამფლობელთა განცხადების საფუძველზე, საქპატენტში დეპონირებულია 393 ნაწარმოები და გაცემულია დეპონირების დამადასტურებელი მოწმო-

# COPYRIGHT

It is recognized that copyright arises with respect to a work upon its creation.It is not necessary to deposit works for accrual of copyright. The new redaction of the "Law of Georgia on Copyright and Neighbouring Rights" (4.05.2010 N3032) defines that a person indicated in the deposition certificate shall be deemed to be the author/holder of copyright of the work, unless otherwise proved. The author or other holder of copyright can deposit the original of the work or its copy with Sakpatenti provided that depositor shall be responsible for the accuracy and reliability of the submitted documents. At the same time, the depositor shall not infringe copyright or other rights of third persons.

After the deposition of a work, Sakpatenti issues a certificate which confirms only the fact of existence of the work in the objective form (handwritten or printed text, sheet music, recording, etc.).

In 2013, upon the request of authors and rightholders, 393 works were deposited with Sakpatenti and relevant deposition certificates were issued. All deposited works are stored in the archives of the Copyright Law Protection Section of Sakpatenti. The information related to them can become public only upon the request of the applicant himself.

Sakpatenti pays special attention to raising awareness of general public in the copyright field. For this purpose, a number of meetings took place with authors and various groups holders of neighbouring rights. During the meetings, upon the request of interested authors and other rightholders, legal norms were explained and practical issues related to the enforcement of copyright and related rights, assignment of rights, drafting

ბები. ყველა დეპონირებული ნაწარმოები ინახება საქპატენტის საავტორო უფლებების დაცვის განყოფილების არქივში და მათთან დაკავშირებული ინფორმაცია საჯარო შეიძლება გახდეს მხოლოდ თავად განმცხადებლის მოთხოვნით.

a copyright agreement, rules of collection of royalties and possibilities of taking measures provided for by the law in various cases of infringement, were considered. In 2013, up to 1700 individual consultations and explanatory conversations were offered on the above-mentioned issues.

**ნაწარმოების დეპონირება (2009-2013)**

**DEPOSITION OF WORKS (2009-2013)**

| | | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლიტერატურული ნაწარმოებები | ლიტერატურული ნაწარმოები | 177 | 86 | 115 | 59 | 65 | LITERARY WORKS | LITERARY WORKS |
| | წიგნი, ბროშურა | 105 | 2 | 2 | 4 | 4 | BOOK, BOOKLET | |
| | სცენარი, სინოფსისი | – | 74 | 95 | 58 | 54 | SCENARIOS, SYNOPSIS | |
| | კომპიუტ. პროგრამა | 19 | 19 | 24 | 11 | 16 | COMPUTER PROGRAM | |
| | აღწერილობა | – | 6 | 6 | 21 | 7 | DESCRIPTION | |
| მეცნიერება | სამეცნიერო ნაშრომი | – | 39 | 50 | 46 | 35 | SCIENTIFIC PAPER | SCIENCE |
| | სამეცნიერო-მეთოდური ნაშრომი | – | 22 | 13 | 17 | 17 | SCIENTIFIC METHODICAL WORK | |
| | მეთოდური ნაშრომი | – | 56 | 59 | 66 | 53 | METHODICAL WORK | |
| | სამეცნიერო სტატია | 115 | 5 | 14 | 9 | 2 | SCIENTIFIC ARTICLE | |
| | სხვა | – | – | 2 | 1 | 1 | OTHER | |
| მუსიკალური ნაწარმოები | | 33 | 39 | 39 | 53 | 38 | MUSICAL WORK | |
| აუდიო-ვიზუალური ნაწარმოები | | 9 | 12 | 10 | 7 | 3 | AUDIOVISUAL WORK | |
| სახვითი ხელოვნების ნაწარმოები | სახვითი ხელოვნების ნაწარმოები | 26 | 21 | 10 | 2 | 2 | VISUAL ARTS | FINE ARTS |
| | ფერწერა | – | 17 | – | – | – | PAINTING | |
| | ქანდაკება | – | 7 | – | – | – | SCULPTURE | |
| | დიზაინი | – | 6 | – | 37 | 25 | DESIGN | |
| | ესკიზი | – | 5 | – | 5 | 3 | SKETCH | |
| დეკორატიულ-გამოყენებითი ან მონუმენტური ხელოვნება | | 15 | 2 | 5 | 9 | 11 | DECORATIVE APPLIED OR MONUMENTAL | |
| ლოგო | | – | – | 12 | 6 | 11 | LOGO | |
| არქიტექტურა, ქალაქთმშენებლობა | | 19 | 25 | 4 | 5 | 2 | ARCHITECTURE, TOWN-PLANNING | |
| ფოტოგრაფია | | 2 | 7 | 6 | 6 | 11 | PHOTOGRAPHY | |
| მონაცემთა ბაზა | | 6 | – | 32 | 3 | 2 | DATABASE | |
| გადამუშავებული ნაწარმოები | | 9 | 2 | – | 10 | 3 | DERIVED WORK | |
| შედგენილი ნაწარმოები | | 1 | 15 | 19 | 19 | 21 | COMPILED WORK | |
| სახელმძღვანელო | | 6 | – | 4 | 5 | 6 | MANUAL | |
| სულ | | 487 | 538 | 496 | 459 | 393 | TOTAL | |

# დავები

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტში" სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე ექსპერტიზასთან დაკავშირებით წარმოქმნილ დავებს კოლეგიური წესით განიხილავს საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატა, რომლის თავმჯდომარეა საქპატენტის თავმჯდომარე.

წინა წლების მსგავსად, 2013 წელს საქპატენტის სააპელაციო პალატაში შემოსული დავების უმრავლესობას სასაქონლო ნიშნების ექსპერტიზასთან დაკავშირებული საკითხები შეადგენდა, რაც მიუთითებს აღნიშნული ობიექტებისადმი საზოგადოების განსაკუთრებულ ინტერესზე.

გასული სამი წლის სააპელაციო საჩივრების განხილვის შედეგები ასეთია:

2012 წელს საქპატენტში შემოვიდა 154 განმცხადებლისა და 22 მესამე პირის სააპელაციო საჩივარი. სულ შემოვიდა 176 სააპელაციო საჩივარი. აქედან 2 – გამოგონებაზე, 2 – სასარგებლო მოდელზე, 3 – დიზაინზე და 146 სასაქონლო ნიშანზე. განხილულ იქნა 162 საჩივარი, რომელთაგან სრულად დაკმაყოფილდა 103, ნაწილობრივ – 3, ხოლო დანარჩენ 56 სააპელაციო საჩივარზე გამოტანილ იქნა უარყოფითი გადაწყვეტილება.

2013 წლის მანძილზე საქპატენტის სააპელაციო პალატაში შემოვიდა 189 განმცხადებლისა და 18 მესამე პირის სააპელაციო საჩივარი – სულ 207. შემოსული საჩივრების უმრავლესობა – 200 საჩივარი ეხებოდა სასაქონლო ნიშნებს, 5 – გამოგონებას, 1 – სასარგებლო მოდელს და 1 – დიზაინს. 2013 წელს სააპელაციო პალატაში განხილულ იქნა 222 საჩივარი, რომელთაგან სრულად დაკმაყოფილდა 117 საჩივარი, ნაწილობრივ – 11, ხოლო უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე 94 სააპელაციო საჩივარს. დეტალური ინფორმაცია განხილული სააპელაციო საჩივრების შესახებ მოცემულია ცხრილში.

# DISPUTES

Under the legislation of Georgia, the Chamber of Appeals of the National Intellectual property Center of Georgia Sakpatenti hears disputes on the examination of the industrial property subject-matter. Chairman of Sakpatenti is the Chairman of the Chamber of Appeals.

As in the previous years, in 2013 too, the majority of appeals filed with the Chamber of Appeal of Sakpatenti dealt with issues linked with examination of trademarks, which indicates the special interest of the public in this subject-matter.

The results of hearing of appeals during the last three years 4 are as follows:

In 2012, 176 appeals were filed with Sakpatenti. Of these, 154 appeals were filed from applicants and 22 from third parties. Of these, 2 – for inventions, 2 – for utility models, 3 – for designs and 146 – with respect to trademarks. 162 appeals were heard, of which 103 appeals were upheld fully, 3 appeals – partially, and the remaining 56 appeals were refused.

In 2013, 207 appeals were filed with the Chamber of Appeals of Sakpatenti, of these, 189 appeals were from applicants and 18 from third parties. The majority of appeals – 200 ones – were filed with respect to trademarks, 5 were filed for inventions, 1 – for utility model, 1 – for designs and 146 – with respect to trademarks. In 2013 the Chamber of Appeals heard 222 appeals, of which 117 appeals were upheld fully, 11 appeals – partially, and 94 appeals were refused. The detailed information concerning the heard appeals is offered in the table.

### სააპელაციო პალატაში შემოსული და განხილული აპელაციების რაოდენობა
### NUMBER OF APPEALS FILED WITH AND CONSIDERED BY THE CHAMBER OF APPEALS

| ობიექტები SUBJECT-MATTERS | | 2009 | | 2010 | | 2011 | | 2012 | | 2013 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მიღებ. FILED | განხილ. EXAMIN. | მიღებ. FILED | განხილ. EXAMIN. | მიღებ. FILED | განხილ. EXAMIN. | მიღებ. FILED | განხილ. EXAMIN. | მიღებ. FILED | განხილ. EXAMIN. |
| გამოგონება INVENTION | განაცხ. APPLIC. | 3 | 2 | 4 | 7 | | | 2 | 2 | 5 | 4 |
| | III პირი PARTY | | | | | 1 | 1 | | | | |
| სასარგებლო მოდელი UTILITY MODEL | განაცხ. APPLIC. | | | 4 | | | 1 | | | | |
| | III პირი PARTY | | | | | 1 | | 2 | 3 | 1 | 1 |
| დიზაინი DESIGN | განაცხ. APPLIC. | | | | | 4 | 3 | 2 | 3 | | |
| | III პირი PARTY | | | | | | | 1 | 1 | 1 | 1 |
| სასაქონლო ნიშნები TRADEMARKS | განაცხ. APPLIC. | 89 | 56 | 126 | 164 | 113 | 137 | 150 | 130 | 184 | 198 |
| | III პირი PARTY | 30 | 12 | 36 | 32 | 33 | 40 | 19 | 23 | 16 | 18 |
| სულ TOTAL | განაცხ. APPLIC. | 92 | 58 | 134 | 171 | 117 | 141 | 154 | 135 | 189 | 202 |
| | III პირი PARTY | 30 | 12 | 36 | 32 | 35 | 41 | 22 | 27 | 18 | 20 |

საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატისა და ექსპერტიზის გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია ადმინისტრაციული წესით მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. აღსანიშნავია, რომ დღემდე სასამართლოში გასაჩივრებულია საქპატენტის ის გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე (გამოგონება, სასარგებლო მოდელი, დიზაინი, სასაქონლო ნიშანი) უფლებების მოპოვებას.

2013 წელს სასამართლოში განხილული დავების უმრავლესობა კვლავ სასაქონლო ნიშნებს ეხებოდა, რადგან აღნიშნული ობიექტი ყველაზე ფართოდ გამოიყენება ქართულ სამეწარმეო და კომერციულ საქმიანობაში. აქვე უნდა ითქვას, რომ გასულ წლებთან შედარებით მოიმატა გამოგონებებსა და დიზაინებთან დაკავშირებულმა დავებმაც.

აღსანიშნავია, რომ სასამართლოში არ გასაჩივრებულა საქპატენტის გადაწყვეტილება საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების დეპონირებასთან დაკავშირებით, რაც უნდა აიხსნას იმით, რომ საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების

The decision of the Chamber of Appeals of Sakpatenti and examination can be appealed at the board of administrative action of Mtskheta District Court. It is noteworthy that to present those decisions of Sakpatenti have been appealed at the court which were related to acquisition of rights in industrial property subject-matters (invention, utility model, design, trademark).

In 2013 the majority of appeals filed with the Chamber of Appeals of Sakpatenti again dealt with issues linked with examination of trademarks, as this subject-matter is most widely-used in Georgian entrepreneurial and commercial activity. It should also be noted that, as compared with the previous years, the number of disputes linked with inventions and designs increased.

It should be noted that the decision of Sakpatenti with respect to the deposition of works protected by copyright have not been appealed at the court. This is

## სააპელაციო პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა
## NUMBER OF DECISIONS TAKEN BY THE CHAMBER OF APPEALS

| ობიექტები SUBJECT-MATTERS | | 2009 | | | 2010 | | | 2011 | | | 2012 | | | 2013 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | დაკმ. UPHELD | | უარი ეთქვა REJECTED | დაკმ. UPHELD | | უარი ეთქვა REJECTED | დაკმ. UPHELD | | უარი ეთქვა REJECTED | დაკმ. UPHELD | | უარი ეთქვა REJECTED | დაკმ. UPHELD | | უარი ეთქვა REJECTED |
| | | სრული COMPLETE | ნაწილ. PART. | | სრული COMPLETE | ნაწილ. PART. | | სრული COMPLETE | ნაწილ. PART. | | სრული COMPLETE | ნაწილ. PART. | | სრული COMPLETE | ნაწილ. PART. | |
| გამოგონება INVENTION | განმცხ. APPLIC. | | | 2 | 2 | | 5 | | | | 1 | | 1 | 2 | | 2 |
| | III პირი PARTY | | | | | | | 1 | | | | | | | | |
| სასარგებლო მოდელი UTILITY MODEL | განმცხ. APPLIC. | | | | | | | | | 1 | | | | | | |
| | III პირი PARTY | | | | | | | | | | 2 | | 1 | 1 | | |
| სამრეწველო ნიმუში INDUSTRIAL DESIGN | განმცხ. APPLIC. | | | | | | | | 1 | 2 | 1 | | 2 | | | |
| | III პირი PARTY | | 2 | | | | | | | | | | 1 | 1 | | |
| სასაქონლო ნიშნები TRADEMARKS | განმცხ. APPLIC. | 38 | 4 | 14 | 114 | 2 | 16 | 117 | 4 | 16 | 97 | 2 | 31 | 111 | 7 | 80 |
| | III პირი PARTY | 8 | 1 | 3 | 6 | 2 | 24 | 3 | - | 37 | 2 | 1 | 20 | 2 | 4 | 12 |
| სულ TOTAL | განმცხ. APPLIC. | 38 | 4 | 16 | 116 | 2 | 21 | 117 | 5 | 19 | 99 | 2 | 34 | 113 | 7 | 82 |
| | III პირი PARTY | 8 | 3 | 3 | 6 | 2 | 24 | 4 | - | 37 | 4 | 1 | 22 | 4 | 4 | 12 |

საქპატენტში დეპონირება არ წარმოადგენს საავტორო უფლებების წარმოშობის საფუძველს და ადასტურებს მხოლოდ დეპონირების ფაქტს.

გასულ წელს საქპატენტი მონაწილეობდა 50 სასამართლო განხილვაში. აქედან: სასაქონლო ნიშნებზე უფლებების მოპოვებას ეხებოდა – 41, გამოგონებას – 3, სასარგებლო მოდელს – 1, დიზაინს – 1, საქპატენტის მიერ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში სასაქონლო ნიშანსა და გამოგონებაზე უფლებათა გადაცემასთან დაკავშირებით განხორციელებულ ქმედებებს – 2, ხოლო საქპატენტის სააპელაციო პალატის მიერ საჩივრის დაუშვებლად ცნობის თაობაზე გამოტანილ გადაწყვეტილებებს კი – 4 განხილვა. აღსანიშნავია, რომ სასამართლო დავების უმრავლესობა გადაწყდა საქპატენტის სასარგებლოდ. საქპატენტის მიმართ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 11 შემთხვევაში, სრულად დაკმაყოფილდა 7 შემთხვევაში, ორ განხილვაში საქპატენტი არასათანადო მოპასუხედ იქნა ცნობილი, 3 შემთხვევაში სარჩელი დაუშვებლად იქნა ცნობილი, ხოლო 3 შემთხვევაში კი სასამართლომ სარჩელი განუხილველი დატოვა.

explained by the fact that the deposition of the works protected by copyright with Sakpatenti is not the ground for the accrual of copyright and only confirms the fact of deposition.

In the reporting year Sakpatenti participated in 50 hearings, of which 41 hearings were linked with acquisition of rights in trademarks, 3 – with inventions, 1 – with utility model, 1 – with design, 2 – with activities carried out by Sakpatenti in the process of administrative proceeding in connection with transfer of rights on trademarks and inventions, and 4 – with decisions on inadmissibility of appeal by the Chamber of Appeals. It is noteworthy that the majority of the disputes were settled in favour of Sakpatenti, 11 appeals against Sakpatenti were upheld partially by the court, and 7 was upheld fully, in 2 hearings Sakpatenti was regarded as an improper defendant, and in 3 cases the court left the appeals without consideration.

# საერთაშორისო ურთიერთობები

# INTERNATIONAL RELATIONS

2013 წელი, წინა წლის მსგავსად, გამოირჩეოდა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით მრავალი ახალი პროექტითა და ინიციატივით. მთელი წლის მანძილზე მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა სხვადასხვა ქვეყანასთან ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების მიმართულებით.

საქპატენტი აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირთან ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) პროცესითა და „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებით" (DCFTA) გათვალისწინებულ ურთიერთობებში და ENP-ის სამოქმედო გეგმის შესაბამისად. ჩვენი უწყება რეგულარულად აწვდის მათ ინფორმაციას მიმდინარე საკანონმდებლო, საგანმანათლებლო და საკოორდინაციო საქმიანობებზე.

აღსანიშნავია, რომ 2013 წლის 28 ნოემბერს ქ. ვილნიუსში, აღმოსავლეთ პარტნიორობის მე-3 სამიტის ფარგლებში, განხორციელდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების პარაფირება. აღნიშნული შეთანხმების ნაწილია ხელშეკრულება „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ" (DCFTA), რომლის მოლაპარაკების პროცესშიც 3 წლის მანძილზე აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საქპატენტის თანამშრომლები. DCFTA-ს უმნიშვნელოვანესი ქვეთავი ეხება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვას, რომელშიც გაწერილია ინტელექტუალური საკუთრების სხვადასხვა დარგის მარეგულირებელი ნორმები. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს

2013, like previous years, was notable for numerous new projects and initiatives. Throughout the year, active work was under way for strengthening bilateral relations with various countries.

Sakpatenti cooperates actively with the EU in the relations stipulated by the European Neighborhood Policy (ENP) process and the Deep and Comprehensive Free Trade Agreement (DCFTA). Our office regularly provides EU with information on current legislative, educational and coordination activities.

It is noteworthy that on the third Eastern Partnership Summit, held on November 28, 2013, in Vilnius, the Association Agreement between Georgia and the European Union was initialed. A part of the Agreement is the Deep and Comprehensive Free Trade Agreement (DCFTA), in



მემორანდუმის ხელმოწერა ჩინეთის საპატენტო უწყებასთან საქპატენტში
Signing MoU with the State Intellectual Property Office of China at Sakpatenti

ინტელექტუალური საკუთრების ევროპულ კანონმდებლობასთან ქართული კანონმდებლობის კიდევ უფრო მეტად დაახლოებას.

| პროტოკოლი განზრახვის შესახებ საპატენტო დაწესებულებებს შორის სამრეწველო საკუთრების დაცვასთან დაკავშირებით (აზერბაიჯანის, თურქეთის, საქართველოს, ყაზახეთის, ყირგიზეთის, მონღოლეთის, ტაჯიკეთის რესპუბლიკებს შორის) | 12.11.1998 | Protocol of Intent concerning cooperation among the patent institutions on the protection of industrial property (Between Republic of Azerbaijan, Georgia, Republic of Kazakhstan, Republic of Kyrgyzstan, Mongolia, Republic of Tajikistan, Republic of Turkey) |
| შეთანხმება საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრსა და ბულგარეთის საპატენტო უწყებას შორის სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ | 31.05.2001 | Agreement between the National Intellectual Property Center of Georgia ''Sakpatenti'' and the Patent Office of the Republic of Bulgaria on Cooperation in the field of Industrial Property |
| შეთანხმება საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრსა და ლატვიის საპატენტო უწყებას შორის ინფორმაციის გაცვლაზე. | 26.05.2006 | Agreement between the National Intellectual Property Center of Georgia ''Sakpatenti'' and the Patent Office of Latvia on Information Exchange. |
| მემორანდუმი ურთიერთგაგების შესახებ ლიტვის რესპუბლიკის სახელმწიფო საპატენტო ბიუროსა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს შორის | 16.06.2008 | Memorandum of Understanding between the State Patent Bureau of the Republic of Lithuania and the National Intellectual Property Center of Georgia |

| 1 | 2 | 3 |
|---|---|---|
| შეთანხმება საქართველოსა და უნგრეთის საპატენტო უწყებებს შორის თანამშრომლობაზე | 22.09.2010 | Agreement on cooperation between the National Intellectual Property Center of Georgia ''Sakpatenti'' and Hungarian IP Office |
| თანამშრომლობის პროგრამა საქპატენტსა და ევროპის საპატენტო უწყებასა და საქპატენტს შორის | 09.02.2011 | Program of Cooperation Activities between Sakpatenti and the European Patent Office |
| ორმხრივი თანამშრომლობის მემორანდუმი შეერთებული შტატების პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყებასა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ საქპატენტს შორის | 4.05.2011 | Memorandum of Bilateral Cooperation Between the National Intellectual Property Center of Georgia ''Sakpatenti'' and the United States Patent and Trademark Office |
| შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს და დანიის პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყებას შორის | 26.09.2011 | Agreement on the cooperation between the National Intellectual Property Centre of Georgia ''Sakpatenti'' and the Danish Patent and Trademark Office |
| ოქმი თანამშრომლობის შესახებ ისრაელის საპატენტო უწყებასა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტს" შორის | 28.09.2011 | Declaration of Intent on the cooperation between the National Intellectual Property Centre of Georgia ''Sakpatenti'' and the Israel Patent Office |
| საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქპატენტსა" და ბელორუსის რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების ცენტრს შორის შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ | 24.11.2011 | Memorandum of Understanding between the National Intellectual Property Centre of Georgia ''Sakpatenti'' and the National Intellectual Property Centre of the Republic of Belarus |
| თანამშრომლობის შეთანხმება ისმოსა და საქპატენტს შორის ინტელექტუალური საკუთრების ოფისის ბიზნეს სერვისების განვითარების (IPAS) შესახებ | 29.09.2011 | WIPO Cooperation Agreement between the National Intellectual Property Center of Georgia ''Sakpatenti'' and the World Intellectual Property Organization for the Development of Intellectual Property Office Business Services |
| ოქმი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხელშეწყობის ცენტრების (TISC) ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით თანამშრომლობის შესახებ | 30.09.2011 | WIPO Cooperation Agreement on establishment of Technology and Innovation Support Centers (TISCs) |

| ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲐ | ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡ ᲗᲐᲠᲘᲦᲘ<br>DATE OF SIGNING | TITLE |
|---|---|---|
| ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲘ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲔᲑᲘ | | INTERGOVERNMENTAL AGREEMENTS |
| შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და უზბეკეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ | 28.05.1996 | Agreement on Cooperation between the Government of Georgia and the Government of the Republic of Uzbekistan in the Field of Industrial Property Protection |
| შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ყაზახეთის მთავრობას შორის სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ | 11.11.1997 | Agreement on Cooperation between the Government of Georgia and the Government of Kazakhstan in the Field of Industrial Property Protection |
| შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და თურქმენეთის მთავრობას შორის სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ | 05.12.1997 | Agreement on Cooperation between the Government of Georgia and the Government of Turkmenistan in the Field of Industrial Property Protection |
| შეთანხმება საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ | 21.09.1998 | Agreement on Cooperation between the Executive Authority of Georgia and the Government of the Republic of Armenia in the Field of Industrial Property Protection |
| შეთანხმება საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და უკრაინის მინისტრთა კაბინეტს შორის სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ | 07.12.1998 | Agreement on Cooperation between the Executive Authority of Georgia and the Cabinet of Ministers of Ukraine in the Field of Industrial Property Protection |
| შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ | 11.02.2004 | Agreement on Cooperation between the Government of Georgia and the Government of Russian Federation in the Field of Intellectual Property Protection |
| შეთანხმება საქართველოსა და უკრაინას შორის ღვინის, სპირტიანი სასმელისა და მინერალური წყლის გეოგრაფიული აღნიშვნების სამართლებრივი ურთიერთდაცვის შესახებ | 01.03.2007 | Agreement on Cooperation between Georgia and Ukraine on Mutual Legal Protection of Geographical Indications of Wines, Spirits and Mineral Waters |
| შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ | 20.05.2009 | Agreement between the Government of Georgia and Government of Republic of Azerbaijan on the protection of Industrial Property |

# მემორანდუმები
# MEMORANDUMS

| სახელწოდება | ხელმოწერის თარიღი DATE OF SIGNING | TITLE |
|---|---|---|
| თანამშრომლობის პროგრამა საპატენტო კოოპერაციის (PCT) ხელშეკრულებასა და მასთან დაკავშირებულ საპატენტო საკითხებზე საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქპატენტსა" და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციას (ისმო) შორის | 18.12.2008 | Cooperative Work Program in Relation to the Patent Cooperation Treaty (PCT) and Associated Patent Matters between the National Intellectual Property Center of Georgia (Sakpatenti) and the International Bureau of the World Intellectual property Organization (WIPO) |
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქპატენტს შორის | 26.04.2010 | Memorandum of Understanding between Ivane Javakhishvili Tbilisi State University and Sakpatenti |
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს ბიზნეს ასოციაციასა და საქპატენტს შორის | 17.07.2010 | Memorandum of Understanding between the Business Association of Georgia and Sakpatenti |
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს ღვინის ასოციაციასა და საქპატენტს შორის | 15.12.2010 | Memorandum of Understanding between the Wine Association of Georgia and Sakpatenti |
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) ტექნოლოგიების გადაცემის ხელშეწყობის შესახებ | 25.01.2011 | Memorandum of Understanding with the GIZ on support on Technology and Innovation Transfer in German International Cooperation |
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტთან | 7.02.2011 | Memorandum of Understanding with the Georgian State Agrarian University |
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ბიზნეს პროგრამების ალიანსთან | 5.04.2011 | Memorandum of Understanding with the Business Software Alliance |
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან | 4.05.2011 | Memorandum of Understanding with the Office of the State Minister of Georgia for Diaspora Issues |
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან | 22.06.2011 | Memorandum of Understanding with the Georgian National Museum |
| თანამშრომლობის მემორანდუმი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი | 11.11.2011 | Memorandum of Understanding with the Ilia State University |
| თანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | 11.11.2011 | Memorandum of Understanding with the Georgian Technical University |
| თანამშრომლობის მემორანდუმი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან საქართველოს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრის დაფუძნების შესახებ | 20.02.2012 | Memorandum of Understanding with the GIZ on Establishment of Georgian Technology Transfer Center |

| 1 | 2 | 3 |
|---|---|---|
| თანამშრომლობის პროგრამა საქპატენტსა და ევროპის საპატენტო უწყებას შორის 2013-14 წწ. | 15.03.2013 | Program of Cooperation Activities between Sakpatenti and the European Patent Office 2013-14 |
| შეთანხმება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრს „საქპატენტსა" და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების სახელმწიფო უწყებას შორის თანამშრომლობის შესახებ | 07.10.2013 | Agreement on the cooperation between the National Intellectual Property Center of Georgia "Sakpatenti" and the State Intellectual Property Office of the People's Republic of China |
| შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრსა და ავსტრიის საპატენტო უწყებას შორის | 25.09.2013 | Agreement on the cooperation between the National Intellectual Property Centre of Georgia and the Austrian Patent Office |
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ საქპატენტსა და მოლდოვას რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების სახელმწიფო სააგენტოს შორის | 04.06.2013 | Memorandum of Understanding between the National Intellectual Property Center of Georgia (Sakpatenti) and the state Agency on Intellectual Property of the Republic of Moldova |

# საინფორმაციო საქმიანობა

## ვებგვერდი

საქპატენტის საქმიანობისა და, ზოგადად, ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მიმდინარე სიახლეების შესახებ ფართო საზოგადოების ინფორმირებისათვის ერთ-ერთი ყველაზე ხელმისაწვდომი საშუალებაა საქპატენტის ვებგვერდი, რომელსაც ბოლო წლებში საქართველოს მოსახლეობის ინტერნეტქსელში ჩართვის გაფართოების გამო,სულ უფრო დიდი როლი დაეკისრა.

ვებგვერდზე ინფორმაცია მოცემულია ქართულ და ინგლისურ ენებზე და მოიცავს არა მხოლოდ დეტალურ ინფორმაციას უწყებაში მიმდინარე საქმიანობის შესახებ, არამედ ინტელექტუალური საკუთრების სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობას, დეტალურ ინფორმაციას ინტელექტუალური საკუთრების თითოეული ობიექტის შესახებ და, რაც მთავარია, ეროვნულ მონაცემთა ბაზებს მოქნილი საძიებო სისტემით. აქვეა საქართველოს პატენტრწმუნებულებისა და საქპატენტის ხელმძღვანელი პირების საკონტაქტო მონაცემები და ბმულები სხვა ორგანიზაციათა ვებგვერდებთან და სხვ.

გასულ 2013 წელს, ინფორმაციის გამჭვირვალობისადმი თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, საქპატენტის ვებგვერდზე გრძელდებოდა სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენების, სიახლეების, იურიდიული ხასიათის მასალებისა და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის ოპერატი-

# INFORMATION ACTIVITY

## WEBSITE

In the recent years the website of Sakpatenti assumed an increasingly important role due to the growth of Internet usage in Georgia. The website is one of the most accessible means for informing the general public on the activities and current news in the field ofintellectual property.

Information is offered in the Georgian and the English languages. It contains detailed information not only about the activities of the Office but also legislation regulating the intellectual property field, detailed information on each object of intellectual property and national databases with flexible search systems. Contact details of patent attorneys of Georgia and the management of Sakpatenti, links to websites of other organizations, etc. are also displayed.

In 2013, taking into account the up-to-date requirements for information trans-



ულად განთავსება ამასთანავე, პერმანენტულად ახლდებოდა სამრეწველო საკუთრების ობიექტების მონაცემთა ბაზები ქართულ და ინგლისურ ენებზე.

აღსანიშნავია, რომ გასულ წელს ვებგვერდს დაემატა სპეციალური ბმული, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია სასაქონლო ნიშნებზე განაცხადების საქპატენტში ელექტრონულად წარდგენა. უკვე მიმდინარეობს სამუშაოები გამოგონებებზე და დიზაინზე განაცხადების ელექტრონულად წარდგენისადა ადმინისტრირების სისტემის შესაქმენელად, რომელიც ექსპლუატაციაში მომავალ წელს გაეშვება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში საქპატენტის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის მოცულობის ზრდისა და მისი აქტუალობის შესაბამისად, საგრძნობლად მოიმატა ვიზიტორთა რაოდენობამ.

parency, the Official Bulletin of Industrial Property, legal materials and other information were published regularlyon the website. Along with this, databases of industrial property objects were updated permanently in Georgian and English.

Noteworthy, a special link was added to the website which allows electronic filing of trademark applications with Sakpatenti. Works are underway for formation of the electronic filing system and administration of applications for inventions and designs, launching of which is planned for the next year.

Proceeding from the above, it is noteworthy that in the recent period, the number of visitors is considerably increasing with the increase of volume and urgency of information published on Sakpatenti website.

## საგამომცემლო საქმიანობა

საპატენტო ინფორმაციის გავრცელებისა და ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საზოგადოების ცოდნის ამაღლების თვალსაზრისით, საქპატენტის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა საგამომცემლო საქმიანობა, რომელსაც ახორციელებს საქპატენტის სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილება თანამედროვე პოლიგრაფიული დანადგარებით აღჭურვილი სტამბის მეშვეობით. გეგმიური გამოცემების გარდა, განყოფილების საქმიანობა მოიცავს დარგობრივი ლიტერატურისა და სხვადასხვა საინფორმაციო მასალების გამოსაცემად მომზადებასა და ბეჭდვას.

მიმდინარე გეგმიური სამუშაოებიდან აღსანიშნავია „სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენი“, რომელსაც ისმო-ს წევრი ქვეყნების საპატენტო უწყებების მსგავსად, სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, გამოსცემს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრიც. აღნიშნულ ბიულეტენში ქვეყნდება რეგისტრაციამდე და რეგისტრაციის შემდგომ, იმ ობიექტების

## PUBLISHING ACTIVITY

From the viewpoint of dissemination of patent information and raising public awareness in the intellectual property field, one of the significant basic directions of Sakpatenti activity is publishing activity, which is carried out by the Editorial-Publishing Division of Sakpatenti by means of the printing-office equipped with modern polygraphic facilities. Along with the current works, the activity of the Division includes preparation for publication and printing of specialized literature and various information materials.

Of the current works, the Official Bulletin of Industrial Property is noteworthy, which is published by the National Intellectual Property Center of Georgia Sakpatenti according to the requirements of Article 12(2) of the Paris Convention, similar to IP offices of all member states of WIPO.The Bulletin includes the data, pre and post registration, concerning objects for which a favourable decision of examination is taken, as well as official notifications, information on changes re-



მონაცემები, რომლებზეც გამოტანილია ექსპერტიზის დადებითი გადაწყვეტილება, ასევე, ოფიციალური შეტყობინებები, ინფორმაცია რეესტრში შეტანილი ცვლილებების შესახებ (მფლობელის სახელისა და მისამართის ცვლილება, რეგისტრაციის ბათილად ცნობა, გაუქმება, უფლებათა გადაცემა და სხვა). ყველა ბიულეტენის ბოლოს კი განთავსებულია სისტემური საძიებლები, სადაც თავმოყრილია ინფორმაცია საქპატენტში სარეგისტრაციოდ შემოტანილი თუ რეგისტრირებული ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების შესახებ, რაც საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირებს მოიძიონ გამოქვეყნებული ობიექტები საერთაშორისო კლასიფიკაციებისა და ისმო-ს სტანდარტების შესაბამისი ინდექსების ან სხვა მონაცემების მიხედვით.

ქართულენოვანი ბიულეტენი გამოდის სისტემატურად თვეში ორჯერ, ყოველი თვის 10 და 25 რიცხვებში, რასაც იურიდიული მნიშვნელობა აქვს, რადგან, სწორედ, ბიულეტენის გამოსვლის თარიღიდან აითვლება ის ვადები, რომლის განმავლობაშიც მესამე პირებს შესაძლებლობა ეძლევათ გაასაჩივრონ ექსპერტიზის გადაწყვეტილებები სასამართლოში ან საქპატენტის სააპელაციო პალატაში.

საქპატენტის საგამომცემლო განყოფილებაში გასულ 2013 წელს გამოიცა გეგმით გათვალისწინებული 24 ქართულენოვანი ბიულეტენი (№1(365) – №24(388). ყველა ბიულეტენის ელექტრონული ვერსია იმავე დღეს განთავსდა საქპატენტის ვებგვერდზე და უსასყიდლოდ მიეწოდა საქართველოს სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებსა და ბიბლიოთეკებს.

აღსანიშნავია, რომ განყოფილებაში სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენების ქართულ ენაზე გამოცემის კვალდაკვალ მიმდინარეობს მათი ინგლისურ ენაზე თარგმნა-გამოცემაც. შესაბამისად, გასული წლის მანძილზე ითარგმნა და დადგენილი სტანდარტის შესაბამისად გამოიცა 24 ოფიციალური ბიულეტენის ინგლისურენოვანი ვერსია,

corded in the Register (change of owner's name and address, cancellation of registration, nullity, transfer of rights, etc.) are also published in the Bulletin. Each issue of Bulletin is printed with classification indexes where information is offered on IP objects submitted for registration or registered at Sakpatenti, which allows interested persons to search published objects according to international classifications and relevant indexes of WIPO standards or other data.

The Bulletin in the Georgian language is issued twice a month, on the 10th and 25th of each month. This has legal significance, as from this date the terms will be counted during which third parties may oppose decisions of the examination at Court or the Chamber of Appeal of Sakpatenti.

In 2013 the Publishing Division of Sakpatenti printed planned 24 Georgian-language issues of the Bulletin (N1(365) – N24(388). The electronic version of all issues were published on the sakpatenti website on the same day and were disseminated free of charge to educational and research institutions and libraries of Georgia.

Noteworthy enough, along with the publishing of the Official Bulletin of Industrial Property in the Georgian language, all issues of the Official Bulletin are translated and published in English. Last year, the English-language version of 24 issues of the Official Bulletin were translated and published according to the established standard. They were published in the English-language part of the Sakpatenti website and were sent to foreign patent offices.

Along with the Official Bulletin of Industrial Property, Sakpatenti issues in




რომლებიც განთავსდა საქპატენტის ვებგვერდის ინგლისურენოვან ნაწილში და გაიგზავნა უცხოეთის საპატენტო უწყებებში.

სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენის გარდა, საქპატენტი ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოსცემს „მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის ოფიციალურ ბიულეტენსაც", რომლის გამოცემის პერიოდულობა დამოკიდებულია მცენარის ან ცხოველის ახალი ჯიშის რეგისტრაციის მოთხოვნით საქპატენტში შემოსული განაცხადების რაოდენობაზე. გასულ 2013 წელს გამოიცა ახალი ჯიშების 4 ბიულეტენი (№1(14) – №4(17)), რომლებიც უსასყიდლოდ გადაეცათ განმცხადებლებს და დაიგზავნა პროფილურ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში. ფართო საზოგადოებისათვის ყველა ნომერი ხელმისაწვდომია საქპატენტის ბიბლიოთეკასა და ვებგვერდზე.

სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილებაში მიმდინარე სამუშაოთა დიდ ნაწილს მოიცავს გამოგონებისა და სასარგებლო მოდელების ადგილობრივი თუ საერთაშორისო განაცხადების აღწერილობებისა და რეფერატების რედაქტირება. გასულ წელს ამ სამუშაოებმა მოიცვა 350-მდე აღწერილობა და რეფერატი.

საქპატენტი პერიოდულად გამოსცემს დარგობრივ პუბლიკაციებს, საცნობარო და პოპულარულ ლიტერატურას,

the Georgian and English languages the Official Bulletin for the Protection of New Plant Varieties and Animal Breeds. The periodicity of its publication depends on the number of applications filed with Sakpatenti with the request of registration of new plant varieties and animal breeds. In 2013, 4 issues of the Bulletin were published (N1(14) – N5(17), which were sent free of charge to the applicants andto profile research institutions. At the Sakpatenti library and website all issues are available to general public.

A major part of works at the Editorial-Publishing Division covers editing of specifications and abstracts of local and foreign applications for inventions and utility models. Last year up to 350 specifications and abstracts were edited.

Sakpatenti periodically issues specialized publications, reference and popular literature, thereby facilitating raising public awareness in the intellectual property field.

The modern polygraphic facilities available in the printing-office allow issuing over a short period of time high standard polygraphic production in necessary format. Last year two issues of the periodical *IP Georgia* were published. It

რითაც ხელს უწყობს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლებას.

სტამბაში არსებული თანამედროვე პოლიგრაფიული დანადგარები საშუალებას გვაძლევს მაღალი ხარისხით უმოკლეს დროში გამოვცეთ ყველა საჭირო ფორმატის პროდუქცია. გასულ წელს გამოვიდა ჟურნალის „IP საქართველო" ორი ნომერი. ნიშანდობლივია, რომ ამ გამოცემას საფუძველი ჩაეყარა 2012 წელს, 26 აპრილს კი ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღისადმი მიძღვნილ საზეიმო შეხვედრაზე მოხდა მისი პირველი ნომრის პრეზენტაცია. მაშინ საქპატენტის თავმჯდომარემ ირაკლი ღვალაძემ აღნიშნა, რომ ჟურნალი გახდებოდა „ქვეყნის ყველაზე ღირებული აქტივის – ინტელექტუალური საკუთრების საზოგადოებისათვის წარდგენისა და მასზე საჯარო დისკუსიის საშუალება". მართლაც, კარგად ილუსტრირებული, მაღალი პოლიგრაფიული ხარისხის გამოცემის თითოეული ნომერი გამოირჩევა პოპულარული ენით დაწერილი, ინტელექტუალური საკუთრების სფეროსთან დაკავშირებული, საინტერესო სტატიებით, რომლებიც მკითხველთა დიდ მოწონებას იმსახურებს.

2013 წელს საქპატენტში გამოიცა საინფორმაციო ხასიათის ტრიპლეტი „დიზაინი", რომელშიც მკითხველისათვის გასაგები ენით მოცემულია ინტელექტუალური საკუთრების ამ ობიექტის დაცვის მნიშვნელობა და საქპატენტში განაცხადის წარდგენის პროცედურა.

გასულ წელს გამოიცა საქპატენტის 2012 წლის ანგარიში, რომელშიც, საქპატენტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად, აისახა შესრულებული სამუშაოები და შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები.

ტრადიციულად, წლის ბოლოს გამოიცა 2014 წლის კედლის დიდფორმატიანი კალენდარი, რომლის თემა იყო ქართული ადგილწარმოშობის დასახელებები და გეოგრაფიული აღნიშვნები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქპატენ-

is noteworthy that the foundation for this publication was laid in 2012, and the first issue of the magazine was presented on April 26, during the celebration on occasion of the World Intellectual Property Day. Chairman of Sakpatenti Mr. Irakli Ghvaladze noted then that the magazine would become a place to present publicly and discuss one of the most valuable assets of our country – intellectualproperty. Indeed, every issue of well-illustrated, highly polygraphic edition is distinguished by interesting articles linked with the intellectual property field, written in the popular language, which are greatly enjoyed by readers.

In 2013 an information triplet *Design* was published at Sakpatenti, in which the significance of this IP object and procedure of filing an application with Sakpatenti are offered.

Last year the Annual Report of Sakpatenti for 2012 was published, in which the work carried out according to the basic directions of the Sakpatenti activity and relevant statistical data were reflected.

Traditionally, at the end of the reporting year, a large-format wall calendar for 2014 was published on the topic of Georgian appellations of origin and geographical indications.

Along with the above-mentioned, a great part of the polygraphic works at Sakpatenti includes printing documents necessary for office proceedings. In particular, last year 28800 titles of protection and letterheads, 2830  folders with requisites for titles of protection, 1387 notebooks and presentations for seminars, 650 greeting and invitation cards, as well as up to 193000 small-format resolution cards and passes were printed, etc.

ტში მიმდინარე პოლიგრაფიული სამუშაოების დიდი ნაწილს მოიცავს უწყების საქმისწარმოებისათვის საჭირო დოკუმენტების ბეჭდვა. კერძოდ, გასულ წელს დაიბეჭდა 28800 ერთეული დამცავი დოკუმენტი და საფირმო ბლანკი, 2830 ცალი საქაღალდე რეკვიზიტებით დამცავი დოკუმენტებისათვის, 1387 ერთეული ბლოკნოტი და საპრეზენტაციო მასალა სემინარებისათვის, 650 სხვადასხვა მისალოცი და მოსაწვევი ბარათი, ასევე, 19300-მდე მცირეფორმატიანი სარეზოლუციო და საშვის ბარათები და სხვა.

საქპატენტის სტამბაში მრავლდება და იკინძება რეგისტრირებული პატენტების აღწერილობები, რომლებიც გაიცემა თითოეულ გამომგონებელზე დამცავ დოკუმენტებთან ერთად, თითო ეგზემპლარი კი ინახება საქპატენტის ბიბლიოთეკაში. შესაბამისად, ტირაჟისა და მოცულობის გათვალისწინებით, აღნიშნული სამუშაოები შეადგენს საქპატენტის პოლიგრაფიის საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს. მაგალითად, გასულ 2013 წელსაც გამრავლებულმა და აკინძულმა პატენტების აღწერილობების საერთო რაოდენობამ შეადგინა 555 ერთეული (სულ 29370 ფურცელი).

აღსანიშნავია, რომ საქპატენტი პოლიგრაფიული სამუშაოების შესრულებით მონაწილეობს ინტელექტუალური საკუთრების სფეროსთან დაკავშირებული სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზებაში. მაგალითად, გასულ წელს გამოიცა: ფლაერები „ნუ დაარღვევთ საავტორო უფლებას“ საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის ღონისძიებისათვის, აფიშები განათლების სამინისტროსა და ჩაღლარის სასწავლო დაწესებულებების მიერ ორგანიზებული ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა VII საერთაშორისო ოლიმპიადისათვის, ახალი ღვინის ფესტივალისათვის ფლაერები და ბუკლეტები „მონასტრის ნობათი“, მოსაწვევი ბარათები ღვინის ისტორიის ფონდის ღონისძიებისათვის და ჯიბის კალენდარი საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის.

Specifications of registered patents are also multiplied and bound at the Sakpatenti printing-office, which are issued to each inventor together with titles of protection, whereas one copy is kept at the Sakpatenti library. Thus, taking into account the number of copies and volume, these works form a considerable part of polygraphic activities of Sakpatenti. E.g. in 2013, the total number of the multiplied and bound patent specifications was 555 items (29370 pages).

It should be mentioned that by carrying out its polygraphic works Sakpatenti participates in the organization of various events linked with the intellectual property field. Thus, in 2013 the following materials were published: flyers *Don't Violate Copyright* for the event of the Georgian Copyright Association, posters for the 7th International Olympiad of Young Scientists and Inventors, organized by the Ministry of Education and Chaglar Educational Institutions, flyers for the new wine festival and booklets *Gift from the Monastery*, invitation cards for the event of the Wine History Foundation and pocket calendars for the Public Broadcaster.



# ბიბლიოთეკა

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ბიბლიოთეკაში, რომელიც ქ. მცხეთაში, საქპატენტის სათაო ოფისშია განთავსებული, ყველა პირობაა შექმნილი ბიბლიოთეკის მომხმარებელთა სწრაფი და ეფექტური მომსახურებისათვის. საქპატენტის ბაზაზე არსებული ბიბლიოთეკა, უკვე მრავალი წელია, დიდ როლს ასრულებს საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საზოგადოების ინფორმირებისა და ცოდნის გავრცელების საქმეში. ბიბლიოთეკაში დაცულია ადგილობრივი და უცხოური საპატენტო ინფორმაციის უნიკალური და მუდმივად განახლებადი ფონდი.

ბიბლიოთეკის მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომია: ევროპის საპატენტო უწყების მონაცემთა ბაზები (INPADOC-daESPACENET), ევრაზიის საპატენტო ორგანიზაციის (EAPATIS), აშშ-ს საპატენტო და სასაქონლო ნიშნების უწყების, როსპატენტის, გერმანიის საპატენტო და სასაქონლო ნიშნების უწყების (DEPATISNET) მონაცემთა ბაზები, აგრეთვე, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის სახელმწიფოების რეგიონის პატენტები (ESPACEP-RECES), GPI (Global Patent Index) და სხვა საძიებო სისტემები.

2014 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, საქპატენტის ბიბლიოთეკაში არსებული ეროვნული საპატენტო ფონდი მოიცავს გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის პატენტების 7800-მდე აღწერილობას, რომლებიც ინახება ელექტრონულ მატარებლებზე, სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენებისა და საერთაშორისო კლასიფიკატორების შესაბამისად შედგენილი სისტემური და ნუმერაციული კატალოგების სახით.

საზღვარგარეთის ქვეყნების საპატენტო ინფორმაციამ, მათ შორის, ინტელექ-

# LIBRARY

At the Library of the National Intellectual Property Center, located in the main building of Sakpatenti in Mtskheta, there are all conditions for fast and effective service of library users. The library, functioning on the basis of Sakpatenti, has played an important role in raising public awareness and dissemination of knowledge in the intellectual property field in Georgia over the years. A unique collection of local and foreign patent information, renewed on a regular basis, is preserved at the library.

The visitors have access to: databases of the European Patent Office (INPADOC and ESPACENET), the database of the Eurasian Patent Organization (EAPATIS), the databases of the United States Patent and Trademark Office, ROSPATENT, the German Patent and Trademark Office (DEPATISNET), patents from the region of Eastern and Central European states (ESPACE PRECES), GPI (Global Patent Index) and other search systems.

By January 1, 2014, the national patent collection of the library includes up to 7800 specifications of inventions and utility models, kept on electronic carriers, in the form of system and numeration catalogs that are compiled according to the Official Bulletins of Industrial Property and International Classifications.

The patent information of foreign countries, including patent documentation of the World Intellectual Property Organization, the European Patent Office, Austria, Russia, USA, France, Japan, etc., has reached 12250 CD and DVD-ROM discs.

ტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის, ევროპის საპატენტო უწყების, ავსტრიის, რუსეთის, აშშ-ს, საფრანგეთის, იაპონიისა და სხვა ქვეყნების საპატენტო დოკუმენტაციამ 12250 CD და DVD-ROM დისკი შეადგინა.

ამჟამად, მკითხველთათვის ხელმისაწვდომია ინტელექტუალური საკუთრების სფეროსთან დაკავშირებული ქართულ და უცხო ენებზე გამოცემული 1550-ზე მეტი დასახელების დარგობრივი ლიტერატურა: ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის პუბლიკაციები, საერთაშორისო კლასიფიკაციები, სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურა, ენციკლოპედიები, ლექსიკონები და ცნობარები, მათ შორის, საქპატენტის გამოცემებიც – სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენები, სისტემური საძიებლები, წლიური ანგარიშები, ქართულ ენაზე ნათარგმნი საერთაშორისო კლასიფიკაციები, წიგნები, ჟურნალები და ბროშურები. აღნიშნული ლიტერატურის ელექტრონული საძიებელი ბაზის მეშვეობით, რომელიც განთავსებულია ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს მიიღოს ინფორმაცია საქპატენტში არსებული საბიბლიოთეკო ფონდის შესახებ.

საქპატენტის ბიბლიოთეკის ყველა მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს მიიღოს უფასო პირველადი კონსულტაცია სამრეწველო საკუთრების დაცვისუნარიანი ობიექტების გამოსავლენად, ასევე, სხვადასხვა მონაცემთა ბაზით სარგებლობისა და განაცხადის სწორად გაფორმების შესახებ. აქ პოტენციურ განმცხადებელს ეხმარებიან სარეგისტრაციოდ წარსადგენი საპატენტო ობიექტის საერთაშორისო კლასიფიკაციის შესაბამისი ინდექსებისა და სასაქონლო ნიშნის საქონლისა და მომსახურების კლასების განსაზღვრაში, სურვილის შემთხვევაში კი უმზადებენ პატენტის აღწერილობებისა და დარგობრი-

At present more than 1550 titles of related intellectual property literature in the Georgian and foreign languages are available to readers: publications of the World Intellectual Property Organization, international classifications, scientific and technical literature, encyclopedias, dictionaries and reference books, including Sakpatenti publications as well - Official Bulletins of Industrial Property, classification indexes, annual reports, international classifications, books, journals and brochures, translated in the Georgian language. Interested persons have an opportunity to receive information on the library collections stored at Sakpatenti by means of the electronic search database, published on the official website of the Center.

Library visitors can receive free primary consultation on the identification of protectable industrial property objects, as well as on using various databases and drafting an application. Staff members of the library assist potential applicants receive assistance in identification of relevant indexes of the international classification of the subject of a patent to be submitted for registration and classes of goods and services of a trademark.Upon request visi-



ვი ნორმატიული დოკუმენტაციის ასლებს. 2013 წელს ბიბლიოთეკის სხვადასხვა სახის მომსახურებით 100-მდე პოტენციურმა განმცხადებელმა – გამომგონებელმა, საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენელმა, მეცნიერმუშაკმა, სტუდენტმა, პენსიონერმა და სხვა დაინტერესებულმა პირმა ისარგებლა.

ასევე, საქპატენტის ხელმძღვანელობის ინიციატივით, უწყების საქმიანობის გაცნობის მიზნით სტუდენტთათვის მოწყობილი ვიზიტების ფარგლებში, გასულ წელსაც ბიბლიოთეკის ხშირი სტუმრები იყვნენ სტუდენტები სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან, რომლებიც გაეცნენ ინფორმაციას ბიბლიოთეკაში დაცული მასალებისა და ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ.

tors can receive copies of patent specifications and related legal acts.In 2013, up to 100 potential applicants interested used library services - inventors, representatives of small and medium-sized business, research workers, students, retirees and other interested persons.

On the initiative of the Sakpatenti management, within the visits for students intended for familiarization with the activities of the Office, in the reporting year students from various higher educational institutions often visited the library. The students familiarized with information on the library materials as well as available services.

# ინფორმაციული ტექნოლოგიები

2013 წელი მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ საქპატენტში დაინერგა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე საქმისწარმოებისა და მათი ადმინისტრირების ახალი ავტომატიზირებული სისტემა, რომელმაც უნდა ჩაანაცვლოს ექსპლუატაციაში მყოფი ანალოგიური სისტემა. ახალი სისტემის პროგრამული უზრუნველყოფა შეიქმნა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივის EPI მხარდაჭერით, ხოლო თავად პროგრამა შეიმუშავა და დანერგა კომპანიამ „იუ-ჯი-თი".

ახალ სისტემაზე გადასვლით საქპატენტში საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე, უქაღალდო (ელექტრონული) საქმისწარმოებას, რომელიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საქპატენტის მომსახურების ხარისხს და არა მხოლოდ გამარტივებს, არამედ უფრო გამჭვირვალესა და სწრაფს გახდის საქმისწამოების პროცესს. სისტემაში, რომელიც ემყარება უახლეს მიდგომებს საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგში, ინტეგრირებულია ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების (გამოგონება, სასარგებლო მოდელი, დიზაინი, სასაქონლო ნიშანი, გეოგრაფიული აღნიშვნა) განაცხადების ელექტრონულად (ონლაინ) წარდგენის ფუნქციონალური საშუალებები, საფასურების ონლაინ გადახდის სიტემა, საჭირო შეტყობინებები და სხვა საკომუნიკაციო ფუნქციები. ის უდიდეს სამსახურს გაუწევს განმცხადებლებსა და პატენტრწმუნებულებს, რომლებსაც შესაძლებლობა ეძლევათ ონლაინ, ქაღალდზე მიმოწერის გარეშე, აწარმოონ ურთიერთობა უწყებასთან, თვალყური ადევნონ

# INFORMATION TECHNOLOGIES

The year 2013 was noteworthy for the fact that a new automated system of workflow of intellectual property objects and their administration was launched at Sakpatenti, which is intended to replace thesimilar software currently in use at the office. The development of software for an intellectual property electronic registration system was supported by USAID's Economic Prosperity Initiative (EPI) and it was developed and implemented by company UGT.

The launching of the new system laid the foundation at Sakpatenti for modern, paperless (electronic) proceedings, which will significantly improve the quality of Sakpatenti services, and will not only simplify, but will also make more transparent and faster the process of proceedings. The system, which is based on the modern approaches in the information technologies field, includes functional means for electronic (online) filing of applications for intellectual property objects (inventions, utility models, trademarks, designs, geographical indications), electronic payments, necessary notifications and other communication functions. The system will render great assistance to applicants and patent attorneys in online paperless communication with the

საკუთარ განაცხადებზე საქმისწარმოების ეტაპებს და სხვა.

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა აღიარებულია ინოვაციისა და ეკონომიკური განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალად. მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მომუშავე ოფისები აქტიურად ნერგავენ ობიექტების რეგისტრაციისა და მართვის ავტომატიზირებულ ონლაინ სისტემებს, რათა დროულად და ზედმეტი დანახარჯების გარეშე უზრუნველყონ ინტელექტუალური საკუთრების დაცვა. ამ თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქპატენტში დანერგილ ახალ ელექტრონულ სისტემას, რომელიც უდაოდ შეუწყობს ხელს საქართველოს ეკონომიკის განვითარებას. საყურადღებოა, რომ EPI-ს ეკონომიკური შეფასებით, ახალი სისტემა სახელმწიფო და კერძო სექტორში არსებულ დაინტერესებულ პირებს ყოველწლიურად 4 მილიონი ლარის ოდენობის ხარჯს დაუზოგავს.

გასული 2013 წელი აღსანიშნავი იყო იმითაც, რომ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციასთან მონაცემთა გაცვლის მიზნით, კერძოდ, საერთაშორისო მონაცემთა საპატენტო ბაზებში (PATENTSCOPE) საპატენტო მონაცემების ქართულ ენაზე განსათავსებლად, საქპატენტში დაიწყო გამოგონებებზე და სასარგებლო მოდელებზე ქართულენოვანი მონაცემების დამუშავება.

საქპატენტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამმართველოს ყოველდღიურ საქმიანობას წარმოადგენს: გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელზე, დიზაინსა და სასაქონლო ნიშანზე შემოსული ადგილობრივი და საერთაშორისო განაცხადების დამუშავება და ბიბლიოგრაფიული მონაცემების, რეფერატების, ნახაზებისა, გამოსახულებების და დამატებითი მასა-

Office, in monitoring various stages of proceedings on their applications, etc.

Protection of intellectual property rights is recognized as the main driving force for innovation and economic development. Leading intellectual property offices around the globe actively launch automated online systems for intellectual property objects registration and management in order to ensure intellectual property protection in a timely and cost-efficient manner. In this respect, launching ofthe new electronic system at Sakpatenti is very important, which will undoubtedly contribute to the economic development of Georgia. It is noteworthy, that based on EPI cost-benefit assessment, the new system will create an estimated 4 million GEL in savings annually for both, public and private sector stakeholders.

It is noteworthy that in 2013 processing of Georgian-language data on inventions and useful models started at Sakpatenti, with the purpose of data exchange with the World Intellectual Property Organization, in particular, their publishing in the international patent databases (PATENTSCOPE) in the Georgian language.

The current activities of the Information Technologies Division include: processing local and international applications for invention, utility models, designs and trademarks and publishing bibliographic data, abstracts, drawings,

ლების განთავსება მონაცემთა ბაზაში, ასევე, მადრიდის ოქმის საფუძველზე, საქართველოში დაცვის გავრცელების მოთხოვნით შემოსულ სასაქონლო ნიშნებზე ექსპერტიზის გადაწყვეტილებების შესახებ ელექტრონულ ფორმატში მონაცემების გაგზავნა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციაში.

გარდა ამისა, სამმართველოში მიმდინარე საქმიანობას შეადგენს გამოგონებებზე და სასარგებლო მოდელებზე საქართველოს პატენტების ბიბლიოგრაფიული მონაცემებისა და სრული აღწერილობების განთავსება გლობალურ საპატენტო მონაცემთა ბაზაში (ESPACENET) და მთელ რიგ წამყვან კომერციულ საპატენტო მონაცემთა ბაზებში. პარალელურად მიმდინარეობდა აღნიშნული მონაცემების გაგზავნა და დსთ-ს ქვეყნების საერთო CD-ROM დისკებზე განსათავსებლად. აღსანიშნავია, რომ მომავალში ამ მონაცემების განთავსება მოხდება სპეციალურად დსთ-ს ქვეყნებისათვის შემუშავებულ ინტერნეტბაზებშიც.

2013 წლის მანძილზე საქპატენტის მონაცემთა ბაზებში განთავსდა: გამოგონებაზე 333 განაცხადი, სასარგებლო მოდელზე – 65, მათი რეფერატების და ნახაზების დამუშავების გათვალისწინებით, დიზაინზე – ადგილობრივი 49 (დამუშავდა 208 დიზაინი) და ჰააგის საერთაშორისო შეთანხმებით შემოსული 261 (დამუშავდა 1019 დიზაინი) განაცხადი. გარდა ამისა, დამუშავდა და ბაზაში განთავსდა სასაქონლო ნიშნების 1320 ეროვნული (მათ შორის, დაჩქარებული საქმისწარმოების 253) და 3382 მადრიდის შეთანხმებასთან არსებული ოქმის საფუძველზე შემოსული საგანაცხადო მასალა.

ამასთანავე, 2013 წელსაც საინფორმაციო ტექნოლოგიების სამმართველოს ფაილინგის ჯგუფის მიმდინარე სამუშაოთა დიდ ნაწილს შეადგენდა არსებულ გა-

representations and additional materials in the database, as well as sending data in the electronic format to the World Intellectual Property Organization on the decisions of examination on the international applications for trademarks filed with the request of extension of protection to Georgia.

In addition, the Division publishes bibliographic data and full-texts of Georgian patents for inventions and utility models in the global patent database ESPACENET and a number of leading commercial patent databases. Along with this, these data were sent for publishing on common CD-ROM disc of the CIS countries.It is noteworthy that in future these data will also be published in the Internet databases created specially for the CIS countries.

